

(4793)06  
242



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

1.1984



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ეკონომიკისა და საზღვარგარეთის სერია, 1984, № 1



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР


(47.93)06  
7-42

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

249931

СЕРИЯ  
ЭКОНОМИКИ И  
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი  
ТБИЛИСИ

**სარედაქციო კოლეგია:** ა. გუნია (რედაქტორი), ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, პ. გუგუშვილი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ი. მიქელაძე, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიქვაძე (რედაქტორის მოადგილე). ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гунья А. Л. (редактор), Гамк्रेлидзе О. К., Гвелესიანი М. И., Гугუшვილი П. В., Лилуашვილი Т. С., Микელაძე И. С., Надარეიшვილი Г. Н., Пუტყარაძე Я. В., Тодუა Г. С., Чикаვა Л. Л., Чიქვაიძე Т. Н. (зам. редактора), Шавгулиძე Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1984, № 1

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14  
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14  
ტელეფონი 37-95-46 телефон

---

გადაეცა წარმოებას 2.2.84; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.7.84; შეკვ. № 340; ანაწყობის ზომა 77×111/2; ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭედა; ნაბეჭდი თაბახი 10,5; საარტიტეხო-საგამომცემლო თაბახი 9,2; უე 08105; ტირაჟი 1109;

ფასი 85 კაბ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## ზინაბარსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი	5
სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ახანაგ ძ. უ. ჩარნაძის სიტყვა	6
სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ახანაგ ნ. ბ. ტიხონოვის სიტყვა	12
კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო	14
სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს	15

## ეკონომიკა

მ. თოქაშვილი, სოციალიზმის ძირითად ურთიერთობათა შესახებ	17
ძ. წიკლაური, საკვებწარმოება — მეცხოველეობის პროდუქციის სიუხვის წყარო	27
რ. ნამივიშვილი, ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობა საქ. სსრ მსუბუქ მრეწველობაში	37
ი. პაპანაძე, საზოგადოების ნაციონალური სიმდიდრე და კაპიტალდამანდებათა ეფექტიანობის ზრდა	49
დ. შენგელია, საქართველოს სსრ ეპრობა დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.)	57
ბ. წარეთელი, ოპტიმიზაციურ გამოკვლევათა საბჭოთა გამოცდილების აქტიური მიმოხილვა ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში	63
ი. შარბაძე, საქართველოს სახლვაო ტრანსპორტი სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში	71

## სამართალი

ბ. ქლანტი, განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის კრიმინოლოგიაში გამოყენებისა და ობიექტი ალზრდის ზოგიერთი საკითხი	84
ბ. ბაქნაშვილი-ნიჭაშვილი, საფრანგეთის პოლიტიკური პარტიები სამართლებრივი სტატუსის თავისებურებანი (ისტორიული ასპექტი)	97
ბ. ჯანაშვილი, დანაშაულობის პროფილაქტიკის კომპლექსური დაგეგმვის ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები ქალაქის რაიონში	107

## ინფორმაცია, პროცია

საკორდინაციო სამეცნიერო საბჭოს სხდომა	119
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი	120

## СОДЕРЖАНИЕ

Внеочередной Пленум Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза . . . . .	5
Речь Генерального секретаря ЦК КПСС товарища К. У. ЧЕРНЕНКО . . . . .	6
Речь члена Политбюро ЦК КПСС, Председателя Совета Министров СССР товарища Н. А. ТИХОНОВА . . . . .	12
Константин Устинович Черненко . . . . .	14
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу . . . . .	15

### ЭКОНОМИКА

Т. Д. ТОКМАЗИШВИЛИ, Об основном отношении социализма . . . . .	17
К. И. ЦИКЛАУРИ. Кормопроизводство — источник продукции животноводства . . . . .	27
Р. Л. НАМИЧЕИШВИЛИ, Эффективность использования промышленно-производственных фондов легкой промышленности Грузинской ССР . . . . .	37
Ю. Р. КАПАНАДЗЕ. Национальное богатство общества и повышение эффективности капитальных вложений . . . . .	49
Д. Л. ШЕНГЕЛИЯ, Торговля Грузинской ССР в годы Великой Отечественной войны (1941—1945 гг.) . . . . .	57
Г. Ш. ЦЕРЕТЕЛИ, Аналитический обзор советского опыта оптимизационных исследований в области рационального использования лесных ресурсов . . . . .	63
О Х. ШАРАДЗЕ. Морской транспорт Грузии в период восстановления народного хозяйства . . . . .	71

### ПРАВО

А. Б. ЖГЕНТИ, О применении психологической теории установки в криминологии и некоторые вопросы нравственного воспитания . . . . .	84
Т. Б. БЕКНАЗАР-ЮЗБАШЕВ, Особенности правового статуса политических партий во Франции (исторический аспект) . . . . .	97
В. Р. ДЖАНКАРАШВИЛИ, Проблемы информационного обеспечения комплексного планирования профилактики преступности в городском районе . . . . .	107

### ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Заседание научно-координационного совета . . . . .	119
В президиуме Академии наук Грузинской ССР . . . . .	120



სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი  
კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნეცკო

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე კლენუმი



1984 წლის 13 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალეზიბი პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი ღუმლით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩეული მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდლობისა და კომუნისტებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის პარტია გზავნიდა, ვი მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზმულულობისა და დისცილინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში. მისი ხელმძღვანელობით თანამედვერულად და მტკიცედ ხორციელდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური

რი კურსი — თერმოზირთული ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის გარეხილი ხრიკების ჩაშლის, ხალხთა შვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამომარი გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივისი არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ანხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ანხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ანხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

ანხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მექვიდრობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.



## სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბანერალური პლივნი სხსნსპ კ. უ. ჩერენკოს სიტყვა

### ძვირფასო სხსნსპბაზო

გულთად მადლობას მოვხსენებ ცენტრალური კომიტეტის წევრებს დიდი პატივისათვის — ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანდ ჩემი არჩევისათვის. მე მთლიანად მაქვს შეგნებული უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მეკისრება. მესმის, რა დიდმნიშვნელოვანი, რა განსაკუთრებით რთული მუშაობა მოგველის. აღვთქვამ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიას, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, მთელ გამოცდილებას გამოვიყენებ, რათა გავმართლო ნდობა, თქვენთან ერთად განვაგრძო ჩვენი პარტიის ის პრინციპული გეზი, რომელსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ორგანიზატორული ნიჭი, ნათელი შემოქმედებითი გონება, თეორიასა და პოლიტიკაში ლენინიზმის ერთგულება, ახლის მახვილი გრძნობა და მასების ცოცხალი გამოცდილების აქუმულირების უნარი, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც უცხოა ჩვენი მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესისათვის, ჩვენი მორალისათვის, პირადი მომხიბვლელობა და თავმდაბლობა — ყოველივე ამან უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა იური ვლადიმერის ძეს პარტიასა და ხალხში.

პარტია მას მუშაობის ყველაზე რთულ და პასუხსაგებ უბნებს ანდობდა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის საუკეთესო პოლიტიკური და ადამიანური თვისებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე. იგი თავს არ ზოგავდა, ცდილობდა ყოველთვის ყოფილიყო მის წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე.

იური ვლადიმერის ძემ მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანა თანამედროვე ეტაპზე პარტიის ყოველმხრივ აწინაღ-დაწინაღი და რეალისტური კურსის — განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის კურსის შემუშავებისათვის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიურის კოლექტიურ საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის სიგემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსტეკები

გახდა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. პლენუმების გადაწყვეტილებებში შემდგომი შემოქმედებითი განვითარება და დაკონკრეტება პოვა სკკპ XXVI ყრილობის პოლიტიკურმა გეზმა.

დიდ ძალასა და ენერგიას ახმარდა ი. ვ. ანდროპოვი საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო სარბიელზე სოციალისტების პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლას.

იური ვლადიმერის ძეს კარგად ესმოდა: პარტიის ავტორიტეტის წყარო ის არის, რომ თავისი ხელმძღვანელი მდგომარეობა, თავისი საპატიო ავანგარდული როლი მან ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მშრომელთა ინტერესების ზუსტად გამოხატვით, მოქმედების უტყუარი მარქსისტულ-ლენინური პროგრამით მათი შეიარაღების უნარით მოიპოვა და ამითვე განამტკიცებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეს, დროის მოთხოვნებთან და სულისკვეთებასთან მის შესაბამისობას დამაჯერებლად ადასტურებს ის, რომ ამ პოლიტიკას მზურვალედ უჭერს მხარს მთელი ხალხი. პარტია მტკიცედ ადგას არჩეულ გზას — კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზას.

ასე იყო წინათ. ასე იქნება მუდამ!

მაგარამ ჩვენ ყველას გვესმის, ამხანაგებო, რომ ამ გზით სიარულისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. უნდა შეგვეძლოს არა მარტო დავსახოთ სწორი მიზნები, არამედ შეუპოვრად ვიღწვოდეთ კიდევ მათი მიღწევისათვის და ყოველნაირ სიძნელებებს ვძლევედეთ. რეალისტურად უნდა ვფასებდეთ მიღწეულს, არც ვაზვიადებდეთ და არც ვაკინებდეთ მას. მხოლოდ ასეთი მიდგომა აგვარიდებს თავიდან პოლიტიკაში შეცდომებს, იმის ცდუნებას, რომ სასურველი სინამდვილედ მოგვეჩვენოს, საშუალებას მოგვეცემს თვალნათლივ დაინახოთ, როგორც ლენინი ამბობდა, „სახელდობრ რა „დავამთავრეთ“ და რა არ დავამთავრებია“.

ხანმოკლე, გულსატკენად ხანმოკლე აღმოჩნდა, ამხანაგებო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის შრომა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში, ჩვენ ყველანი ვიგრძნობთ უმისობას.

იგი ჩვენგან წავიდა იმ დროს, როცა დიდი და დაძაბული მუშაობა გვაქვს გაჩაღებული იმისათვის, რომ მძლავრად დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობის განვითარება, დაეძლიოთ სიძნელეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეექმნა 70—80-იანი წლების მიჯნაზე. მაგრამ ჩვენ ყველა ვიცით, თუ რაოდენ ბევრი რამის გაკეთება შეძლო პარტიამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში, რამდენი ახალი ნაყოფიერი რამ იშვა და დამკვიდრდა პრაქტიკულად. განვავრცოთ და კოლექტიური ძალისხმევით წინ წავედოთ უფრო ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხელმძღვანელობით წამოწყებული მუშაობა. — აი საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ჭეროვანი პარტიე მივაგოთ მის ხსოვნას, უზრუნველვყოთ პოლიტიკაში მემკვიდრეობითობა.

მემკვიდრეობითობა განყენებული ცნება კი არა, ცოცხალი, რეალური საქმეა. მისი არსი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ შეუჩერებლედ ვივაროთ წინ. ამ წინსვლისას უნდა ვეყრდნობოდეთ ყოველივე უკვე მიღწეულს, შემოქმედებითად ვამდიდრებდეთ მას, კომუნისტების, მუშათა კლასის, მთელი ხალხის კოლექტიურ აზრსა და ნერვების განხარდებთ გადასაწყვეტ ამოცანებს, აწმყოსა და ჩინავლის საკვანძო პრობლემებს. და ეს ყველა ჩვენგანს ბევრ რამეს ავალებს.

ჩვენი პარტიის ძალაა მისი ერთიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება, იმის უნარი, რომ განავითაროს და წარმართოს მასების შემოქმედებითი აქტიურობა, იდეურად და ორგანიზაციულად შეაკავშიროს ისინი ნაცდელ ლენინური პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ამ ბოლო ხანს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტიურო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის, პარტიული ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესების საკითხებს. ერთ-ერთი მთავანია პარტიული კომიტეტების ფუნქციებისა და სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ამოცანების მკაფიო გაიჭვანვა, მათს მუშაობაში დღბობრივების აღმოჩენა. ეს დიდი, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. და გულახდილად უნდა ითქვას, აქ ყველაფერი ჭეროვანად არ არის მოგვარებული.

ხდება ხოლმე რომ საბუკობას, სამინისტროების, საწარმოების მუშაკები ჭეროვან დამოუკიდებლობას არ იჩენენ, პარტიულ ორგანოებს აკისრებენ საკითხებს, რომლებიც თვითონ უნდა გადაწყვიტონ. სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგვიკობის პრაქტიკა ხალხის უკარგავს კადრებს. უფრო მეტიც, იგი პარტიული კომიტეტის, როგორც პოლიტიკური ხელ-

მძღვანელობის ორგანოს, როლის შესუსტებას საფრთხეს შეიცავს. პარტიული კომიტეტებისათვის მეურნეობის გაძლოა ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იმ ადამიანების გაძლოას, რომლებიც მეურნეობას ხელმძღვანელობენ. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ამხანაგებო! თვე-ნახევრის წინათ, ცენტრალური კომიტეტის აღკვემბრის პლენუმზე ჩვენ ყოველმხრივ შევაფასეთ საქმის ვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. მიღებულ დადგენილებაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ ახლა მთავარია შევიწარმოთ დამჭარბებული ტემპი, ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის საერთო განწყობილება, განუხრელად ავამლოთ ეკონომიკისადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ღონე, უფრო აქტიურად განვავითაროთ პოზიტიური ტენდენციები, სტაბილური ხასიათი მივანიჭოთ მათ. ჩვენი უშუალო მოვალეობაა თანამიმდევრულად შევასრულოთ პლენუმის ეს დებულებანი.

მთელი ჩვენი გამოცდილება ადასტურებს: პარტიის ძალის უმნიშვნელოვანესი წყარო ყოველთვის იყო, არის და იქნება მასებთან მისი კავშირი, მილიონობით მშრომელის მოქალაქეობრივი აქტიურობა, წარმოების საქმეებისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი მათი მზრუნველი მიდგომა.

კომუნისტთა პარტიის მოვალეობაა თავის კურსს, თავის გადაწყვეტილებებს, მოქმედებას დღენიდავად ამოწმებდეს უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის აზრის, მისი უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური და კლასობრივი გუმანის მიხედვით.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუდამ დიდად აფასებდა მუშაკების პირდაპირობას, მის ცხოვრებით დასაბუთებულ და ნათელ მსჯელობას, ფხიზლად აღევნებდა თვალს მის აზრს, მოვლენებისა და ადამიანების მისეულ შეფასებას, ეძებდა და პოულობდა მათში პასუხს ყველაზე საკირობოროტო საკითხებზე.

ყურად იღოს მუშათა წრიდან, სოციალისტური მშენებლობის წინა ხაზიდან მოსული სიტყვა, ერთობრივობის მშრომელ ადამიანებს — ეს დღესაც უნდა იყოს თითოეული კომუნისტი ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობა, უდიდესი შინაგანი მოთხოვნილება.

შეგვეძლოს დროულად შევინიშნოთ და წავახალისოთ ხალხის ინიციატივა, თანაც, ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით — სამუშაო ადგილზე საქმისადმი ყაირობიანი, შემოქმედებითი დამოკიდებულებით დაწყებული და სახელმწიფოს, საზოგადოების მართვაში აქტიური მონაწილეობით დამთავრებული, — ეს არის ჩვენი პროგრესის უდიდესი, შეიძლება ითქვას,



უშრეტი რეზერვი. ყოველ თავის დიდ მიღწევას ჩვენი ეკონომიკა მეტ-ნაკლებად შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს თაოსნობას, მათს საკუთარ, როგორც იტყვიან, შემხვედრ გეგმებს უნდა უმაღლოდეს.

უდიდესს კმაყოფილებას იწვევს ქვეყნის შრომითი კოლექტივების ფართო გამოზნაურება დეკემბრის პლენუმის მოწოდებაზე — მიღწეონ 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითს გადიდებას და დამატებით 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. პარტიოტული აღმავლობა, ენერჯია და გერჯილიანობა, რომლებსაც კმრომელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდეს ამ ამოცანის გადაწყვეტას, გვისახავს რწმენას, რომ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

ვეფიქრობ, ღირს იმ საკითხის გამზნაღვა, რომ ამის შედეგად მიღებული მთელი სახსრები და რესურსები — ისინი კი საკმაოდ დიდია — მოვახმართო საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებას, ბინების მშენებლობას. ეს საკებით შეესაბამება პარტიის პოლიტიკის უმაღლეს მიზანს — ადამიანის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ ზრუნვას.

საერთოდ, ამხანაგებო, როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მშრომელთა შემოქმედებითი თაოსნობანი, ნოვატორთა უკეთ წახალისოთ მატერიალურად და მორალურად.

საბჭოთა წყობილებას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობა. სწორედ ეს არის მისი უდიდესი ძალა. ამიტომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა იმას, რომ ეს სოციალური სამართლიანობა განუზრებლად იყოს დაცული ყოველდღიურ საქმეებში, იქნება ეს ხელფასი და პრემიები, ბინების თუ საგზურების განაწილება, დაჯილდოება — ერთი სიტყვით, რომ ყველაფერი სამართლიანად, ჩვენს საერთო საქმეში თითოეული ადამიანის შრომითი წვლილის შესაბამისად კეთდებოდეს.

აქ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით შრომის კოლექტივებზე. მათ ახლა კანონმდებლობის წესით განმტკიცებული დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. ახლა მთავარი ის არის, რომ ეს უფლებები სატულად გამოიყენონ.

ამ ბოლო ხანს პარტიამ სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელობის ახალი გამოცდილება შეიძინა. ჩვენ უკეთ ვიყენებთ ჩვენი წყობილების უპირატესობებსა და შესაძლებლობებს. მათ, რა თქმა უნდა, განეკუთვნება მასების ორგანიზებულობა და შეგ-

ნება. სწორედ ამიტომ არის, რომ დღემდე მუდარადლებას ვუთმობთ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას.

ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი ჩვენთვის საკვანძო, პრინციპული საკითხია. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. ყოველგვარ მიღწეებას, უპასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მარტო მატერიალური ზარალი როდი მოაქვს. ისინი სერიოზულ სოციალურ, ზნეობრივ ზიანსაც გვაყენებენ. ეს კარგად გვესმის ჩვენ, კომუნისტებს, ესმის მილიონობით საბჭოთა ადამიანს. და საცხელი კანონზომიერია, რომ ქვეშაობრტად მთელმა ხალხმა მოიწონა შრომის, საწარმოო, საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი.

ამ სფეროში ზოგი რამ უკვე გავაკეთეთ. დავინ არ იცის, რა კეთილნაყოფიერა გავლენა მოახდინა ამან საწარმოო საქმეებზე, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საერთოდ ხალხის გუნება-განწყობილებაზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთებულიყო. არა, ამხანაგებო, ცხოვრება გვასწავლის, რომ ამ საქმეში მოდუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რაც შეეხება ჩვენი ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ისინი ზუსტად განსაზღვრა პარტიამ. ინტენსიფიკაციამ, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევითა დაჩაჩერებულმა დანერგვამ, დიდი კომპლექსური პროგრამების განხორციელებამ — ყოველივე ამან საბოლოო ანგარიშით თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალები.

სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებს ეკონომიკის მართვის სისტემა, მთელი ჩვენი სამეურნეო მექანიზმი. ამ მხრივ მუშაობა მხოლოდ დაიწყო. იგი შეიცავს საწარმოთა უფლებების გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ფართო მასშტაბის ეკონომიკურ ექსპერიმენტს. მიმდინარეობს მომსახურების სფეროში მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება, რომელიც, უუპველია, ბევრ სასარგებლო რამეს მოგვეცემს, დაგვეხმარება გადაწყვეტილოთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პრობლემა — ავამაღლოთ მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა.

მაგრამ, მოდით, ჩვენს თავს ვკითხოთ: ისე ხომ არ გამოდის, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ექსპერიმენტების შედეგებს ელის და ამ მოლოდინით სურს შეინდობს თავისი პასიურობა, ძველებურად მუშაობის სურვილი? რა თქმა უნდა, ეკონომიკური სტრუქტურების განახლება პასუხსაგვნი საქმეა. აქ

ურიგო არ იქნება გვახსოვდეს ძველი ბრძნული ანდაზაც: შეიძვერ გაზომე და ერთხელ გასჭერი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს იმათ, ვისაც საერთოდ არ სურს ანგარიში გაუწიოს შეცვლილ პირობებს, ცხოვრების ახალ მოთხოვნებს.

მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინონ ყველა დონეზე, გაბედულად ეძიონ, თუ საჭიროა, გამართლებელი რისიკიც გასწიონ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გულისთვის, — აი რას მოველით ჩვენი სამეურნეო კადრებისაგან.

მოგვხსენებთ, რომ შარშან სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მთელი რიგი ადაღენილებანი შეიმუშავეს და მიიღეს ეკონომიკის განვითარების პრინციპულ საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებებმა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს მისცა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გარკვეული ბერკეტები.

დასახული ღონისძიებანი, მათ კი არა მართო სამეურნეო, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვთ, მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ მათი შესრულება თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული მუშაკის ყოველდღიური მუშაობის მთავარი შინაარსი გახდება.

დღევანდელ ამოცანებს რომ ვწყვეტთ, ამით წანამძღვრებს ვექმნით მომავალში გაცილებით უფრო მაღალი მიყენების მიღწევას. იქნებ, ჩვენს ხვალისდელ დღეზე, მეთორმეტე ხუთწლეულზე დეტალურად ლაპარაკი ჯერ ნაადრევაც კი იყოს, მაგრამ მომავალი მუშაობის მთავარი პრიორიტეტები, მთავარი მიმართულებანი უკვე დღეს მოჩანს.

ახალი ხუთწლედი უწინარეს ყოვლისა წარმოებაში ღრმა თვისებრივი ცვლილებები, დასაწყისი, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციის საქმეში გადამწყვეტი გარდატეხის ხუთწლედი უნდა გახდეს. თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ და მართვის სისტემამ ახალი, უფრო მაღალი თვისებები უნდა შეიძინოს.

ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ახლა იმას, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირი. ეკონომიკას ვერ ავიყვანთ თვისებრივად ახალ დონეზე, თუ არ შევქმენით ამისათვის საჭირო სოციალური და იდეოლოგიური წანამძღვრები. ასევე შეუძლებელია სოციალისტური შეგნების განვითარების მომწიფებელი პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური და სო-

ციალური პოლიტიკის მტკიცე საძირკველს თუ არ დავეყრდნით.

ახალი სამყაროს შენება ნიშნავს დაუცხრომლად ვზრუნვადეთ ახალი სამყაროს ადამიანის ჩამოყალიბებისათვის, მისი იდეურ-ზნეობრივი ზრდისათვის. როგორც მოგვხსენებთ, სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. მისი მითითებების შესაბამისად პარტია ეცდება ეს მუშაობა მთლიანად შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის დიდი და რთული ამოცანების ხასიათს.

გავიხროთ ეს ამოცანები კომპლექსურად, დაეხსნოთ მათი გადაწყვეტის ზუსტი გზა დღიანი სტრატეგია, წარმოვაჩინოთ კომუნისტურ პერსპექტივასთან ჩვენი მიმდინარე საქმიეების კავშირი — აი რა უნდა მოგვეცეს პარტიული პროგრამის ახალმა რედაქციამ. მის მომზადებას ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმების შემუშავებისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მსოფლიოში შექმნილი ვითარება. იგი კი, როგორც მოგვხსენებთ, რთული და დაძაბულია. მათ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამ პირობებში პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორი კურსი სავარეო პოლიტიკის დარგში.

მტკიცე მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმისათვის ბრძოლა მუდამ იყო იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ყურადღების ცენტრში. მისი ხელმძღვანელობით ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ და ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა ჩამოაყალიბეს აქტიური სავარეო პოლიტიკა, რომელიც შეეხება მუდამ აქ კეთილშობილურ პრინციპებს, პოლიტიკა, რომლის მიზანია თავიდან ააცილოს კაცობრიობას მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხე. მშვიდობის ეს ლენინური პოლიტიკა, რომლის ძირითადი ნიშნები თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ყრილობების გადაწყვეტილებებმა, შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, არსებითად კი მსოფლიოს სხვა ხალხთა ინტერესებსაც. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ: ამ პოლიტიკას არც ერთი ნაბიჯით არ გადავუხვევთ.

სავებით ცხადია, ამხანაგებო, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი იქნება მსოფლიო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების გავლენა, რამდენად აქტიური, მიზანსწრაფული



და შეთანხმებული იქნება მათი მოქმედება. ჩვენი ქვეყნები უპირატესად დიანტრეგისტული არიან მშვიდობით. ამ მიზნის მისაღწევად ვეცდებით გავაფართოოთ თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან. ყოველმხრივ ვავითარებთ და ვაღრმავებთ რა შეკავშირებასა და თანამშრომლობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან — ყველა სფეროში, რა თქმა უნდა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სფეროშიც, როგორც ეკონომიკა — ამით დიდი წვლილი შეგვაქვს ხალხთა მშვიდობის, პროგრესისა და უშიშროების საქმეში.

ჩვენი მივითავით მოძმე ქვეყნებს და ვამბობთ: საბჭოთა კავშირის სახით თქვენ კვლავ გეყოლებათ საიმედო მეგობარი და ერთგული მოკავშირე.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი იყო და იქნება სოლიდარობა იმ ხალხებთან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური დამოკიდებულების უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგინეს; და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ხალხებთან, რომლებიც იგერიებენ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების იერიშებს, იმპერიალიზმისა, რომელიც სისხლიანი ძალადობისა და ომის ხანძრების უპირატესად საშიშ კერებს ქმნის მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. იყო ხალხთა სამართლიანი საქმის მომხრე, იღვწოდენ ასეთი კერების მოსპობისათვის — ეს დღესაც ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საჭირო და დიდმნიშვნელოვანი მიზანთულებაა. ჩვენი პარტიის პრინციპული პოზიცია ამ საკითხებში ნათელი, წმინდა და კეთილშობილურია, და ჩვენ მას განუხრულად დავიცავთ.

ახლა, რაც შეეხება კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას. დიდმა ლენინმა გვიანდერძა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. ჩვენ მუდამ ერთგული ვართ ამ პრინციპისა. ახლა, ბირთვული იარაღისა და უზუსტესი რაკეტების საუკუნეში, იგი განსაკუთრებით სჭირდებათ ხალხებს. სამწუხაროდ, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ ზედმეტად ნელს, როგორც ყველაფერიდან ჩანს, ნათლად არ ესმის ეს, ან არ სურს ესმოდეს.

ჩვენ კარგად ვხედავთ რა საფრთხეს უქმნის დღეს კაცობრიობას იმპერიალიზმის აგრესიული ძალების უგუნური, ავანტიურისტული მოქმედება, — და ამას საკვეყნოდ ვამბობთ, რათა მიუღი დეამიწის ხალხთა ყურადღება მივაპყროთ ამ საფრთხეს. ჩვენ არ გეჭვირდება სამხედრო უპირატესობა, არ ვაპირებთ სხვებს ვუკარნახოთ ჩვენი ნება. მაგრამ მიღწეული სამხედრო თანასწორობის დარღვევის უფლებას

არავის მიეცემთ. და დაე, ყველამ კარგად იცოდეს: ჩვენ კვლავაც ვიზრუნებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რომ გვქონდეს საკმარისი საშუალებანი, რომელთა მეშვეობით შეიძლება დავაცხროთ ომის მოტრიალე თავფიცული ავანტიურისტები. ეს, ამხანაგებო, წინადადებას შენარჩუნების მეტად არსებითი წინამძღვარია.

საბჭოთა კავშირის, როგორც დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს, მთლიანად აქვს შეგნებულ ხალხთა წინაშე თავისი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ მზად ვართ ყველა კონტინენტის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. ჩვენ გვსურს სერიოზული, თანასწორუფლებიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკების გზით მშვიდობიანად გადავწყვიტოთ ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემა. სსრ კავშირი მხარში ამოუდგება ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მზად არიან პრაქტიკული საქმეებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო დამაბულობის შენელებას, მსოფლიოში ნდობის ატმოსფეროს შექმნას; სხვანაირად რომ ვთქვათ, იმით, ვინც ნამდვილად წარმართავს საქმეს არა ომის მომზადებისათვის, არამედ მშვიდობის საფუძვლების განმტკიცებისათვის. და ჩვენი აზრით, საიმისოდ სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული ბერკეტი, მათ შორის, რა თქმა უნდა ისეთიც, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც სწორად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით შეიქმნა.

ამხანაგებო, ჩვენ საბჭოთა კომუნისტებს გულწრფელად გვახარებს, რომ კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისა და პროგრესისათვის ბრძოლაში მხარდამხარ მივაძივებთ მილიონობით კლასობრივ ძმებთან, მსოფლიო კომუნისტური და მუსლიმა მოძრაობის მრავალრიცხოვან რაზმებთან ერთად. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის მუდამ ერთგულნი, მხურვალე სიმპათიითა და ორმა პატივისცემით ვეკიდებთ ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგების ბრძოლას მშრომელთა ინტერესებისა და უფლებებისათვის და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყოველნაირად განვამტკიცებლეთ მათთან კავშირს.

აი რა მინდოდა მეთქვა დღეს საერთაშორისო საქმეებში ჩვენი პარტიის გეზის შესახებ. და დარწმუნებული ვართ, რომ მის სულითა და გულით მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

ამხანაგებო!

მთელ თავიანთ მიღწევებს საბჭოთა ადამიანები განუხრულად უკავშირებენ პარტიის საქმი-

ნობას. მასების უსაზღვროდ ერთგული პარტია მასების სრული ნდობით სარგებლობს.

ეს-ეს არის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. მან კვლავ გვიჩვენა კომუნისტთა შეგნებისა და აქტიურობის მაღალი დონე. ხელმძღვანელ პოსტებზე არჩეული არიან ავტორიტეტისანი, გამოცდილი, მცოდნე ადამიანები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების ბირველი მდივნები. თქვენ, ამხანაგებო, გვირდა განსაკუთრებით მოგმართოთ. ცენტრალურმა კომიტეტმა კარგად იცის, რაოდენ ფართოა თქვენი მოვალეობების, თქვენი საზრუნავის წრე. იცის, თუ რა ბევრი რამ არის თქვენზე დამოკიდებული ჩვენი მიმდინარე, უახლოესი და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო დარწმუნებულია, რომ ყველაფერს იღონებთ, რათა უზრუნველყოთ სამარწველო წარმოების ზრდის სტაბილური ტემპი, სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულება, მასების შრომითი აქტიურობის განვითარება, იმ ღონისძიებათა რეალიზაცია, რომელთა მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ამით პარტიის ავანგარდული როლის გაძლიერება.

ჩვენს პარტიაში ყოველგვარი არჩევითი პოსტი პასუხსაგები პოსტია. პარტიულ კომიტეტში არჩევა უნდა მივიჩნიოთ თავისებურ ნდობის კრედიტად, რომელსაც პარტიის წევრები თავიანთ ამხანაგებს აძლევენ. და ეს ნდობა თავდადებული შრომით უნდა გავამართლოთ.

ასეთია განვლილი კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა განაწესი. ახლა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, ამ მომთხოვნ განაწესს პარტია გადასცემს იმ კომუნისტებსაც, რომლებიც დებუტატობის კანდიდატებად არიან დასახელებული და შევლენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

საბჭოთა კომუნისტების დაუშრეტელი ძალა მათი რიგების შეკავშირება. ეს ძალა სრულად ვლინდება მაშინ, როცა, როგორც ლენინი ამბობს, ჩვენ ყველანი, პარტიის წევრნი, ვმოქმედებთ, როგორც ერთი კაცი“. სწორედ ასე ერთსულოვნად შეკავშირებულად მოქმედებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო. ეს საშუალებას გვაძლევს ვიღებდეთ შემოწმებულ, ყოველმხრივ აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განამტკიცებენ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის კავშირს, საბჭოეთის ხალხთა ძმურ მეგობრობას.

ნამდვილად პარტიული, საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფერო, რომლის შექმნასაც ამდენი ძალ-ღონე მოახმარა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის უცილობელი პირობა იყო და იქნება. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის შემდგომი ზრდის, ჩვენ წინაშე დასახული კომუნისტური აღმშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარი.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაზ ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა

### კვირფასო ამხანაგებო!

კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მსოფლიო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადეს. აღარ არის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობია და კომუნისტებისათვის დაუცხრომელი მებრძოლა.

მოკლე ვადის, წელიწადზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა იური ვლადიმერის ძე ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ ამ დროის განმავლობაში ძალზე ბევრი რამ მოასწრო. პარტიამ, რომელიც განუხრელად მისდევდა და შემოქმედებითად ამდიდრებდა XXVI ყრილობის კურსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

მრავალმხრივი იყო იური ვლადიმერის ძის მოღვაწეობა პასუხსაგებ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა, იგი მთელ ძალდონესა და ცოდნას ამზარდა ხალხის ინტერესების სამსახურს.

თითოეულ ჩვენგანს კარგად ახსოვს იური ვლადიმერის ძის ღრმამზინარისანი გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის ნოემბრისა და მომდევნო პლენუმებზე, გამოსვლები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სოციალისტური უპირატესობათა რეალიზაციის, კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემათა გადაჭრის მეფილი პროგრამა.

იგი მარჯველ და ენერგიულად წარმართავდა ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიუროს საქმიანობას, რათა დაერაზმა კომუნისტები, ყველა მშრომელი ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, ორგანიზებულიობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

იური ვლადიმერის ძე მუდამ ეყრდნობოდა კოლექტიურ გამოცდილებას, ზუსტად უძებდა ალღოს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებებს და დიდ პირობა წვლილს მატებდა პარტიის მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს

ძლიერების გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

იგი განუხრელად იბრძოდა პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის — თერმობრთველი ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ზრიაკების მტკიცე მოგერიების კურსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის.

ყველანი ღრმად განვიციდით დიდ უბედურებას, რომელიც ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ეწია, მაგრამ ლენინელ კომუნისტთა ვალა კიდევ უფრო მჭიდროდ შეეკავშირდნენ, განამტკიცონ პარტიის და ხალხის ერთიანობა.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმში მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს პარტიის ურყევ მისწრაფებას — კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად იაროს სწორი ლენინური კურსით.

განუხრელად და მიზანდასახულად განხორციელდება გეზი, რომელიც შემუშავებს სკკპ ისტორიულმა XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა, გეზი, რომლის მიზანია უზრუნველყოფით წარმოების ინტენსიფიკაცია, ავამაღლოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, დავაჩაოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვახორციელოთ სასურსათო პროგრამა, კიდევ უფრო სრულად დავამყაფილოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნებიანი.

პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურენ გლეხობისა და ინტელიგენციის ურდვევ კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმურ მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მუდამ უერთგულვებენ ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეალებს, სოციალური პროგრესის იდეალებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლიტიბიურომ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საკითხი და ერთსულოვნად დამავალა პლენუმს შემოვთავაზო ავირჩიოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური

კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

კონსტანტინე უსტინის ძემ დიდი ცხოვრებისეული სკოლა გამოიარა. მან იცის ძნელი გლუხაკაური შრომაც და ჯარისკაცულა სამსახურიც, სოფლის რაიკომის ყოველდღიური მუშაობაც.

იგი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა პარტიული მუშაობის პასუხსაგებ უბნებს კრასნოარსკის, პენზის, მოლდავეთის პარტიულ ორგანიზაციებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

სადაც უნდა ემუშავა კონსტანტინე უსტინის ძეს, იგი ყველგან იჩენდა თავს მასების ნიჟერ ორგანიზატორად, მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტად, ჩვენა დიდი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ურყევ მებრძოლად.

კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები კონსტანტინე უსტინის ძეს კარგად იცნობენ როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინური ტიპის ისეთ ხელმძღვანელთა ერთგულ თანამოსაგრეს, როგორებიც იყვნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი და იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოში მუშაობისას კონსტანტინე უსტინის ძემ ბევრი რამ იღონა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური სტილის განვითარება-დამკვიდრებისათვის, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი განვითარების საკვანძო საკითხთა ღრმა გაგება, რეალისტური მიდგომა მიღწეულისა თუ გადასაწყვეტი პრობლემების შეფასებისადმი, მაღალი მოთხოვნელობა კადრების მიმართ და ამასთანავე კეთილმოსურენ დამოკიდებულება მათადმი, მშრომელთა ინიციატივასა და გამოცდილებაზე დაყრდნობა.

კონსტანტინე უსტინის ძე გამოირჩევა უნაბრით ფრთა შეასახს ადამიანებს თავისი ენერგიით, ნებისმიერი საქმისადმი ნოვატორული დამოკიდებულებით, შეაკავშიროს ამხანაგები ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობისათვის.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მისი მუდმივი მოთხოვნელობა იქონიოს მასებთან ცოცხალი ურთიერთობა, მისი ყურადღება ყოველი ადამიანის ბედისადმი — იქნება ეს ნიჟერი მეცნიერი თუ წარჩინებული მეტალურგი, ჯარისკაცის დედა თუ ახალგაზრდა მწერალი.

კონსტანტინე უსტინის ძეს თვალსაჩინო როლი ეკუთვნის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების დამუშავებაში, ხანგრძლივი პერსპექტივისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ერთიანი კონცეფციის შექმნაში.

კონსტანტინე უსტინის ძე უარღესად აქტიურად მონაწილეობს ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებათა ჩამოყალიბებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობაში საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განსამტკიცებლად.

ჩვენმა საზღვდრო მუშაკებმა იციან, თუ რაოდენ ბევრს მუშაობს კონსტანტინე უსტინის ძე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან, შეიარაღებული ძალების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვასთან, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის იდეურ წრთობასთან.

პოლიტბიუროს სწამს, რომ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ღირსეულად გაუძღვება ჩვენი პარტიის მებრძოლ შტაბს.

კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, ხელთ აქვთ ზუსტი და მაკაფო სამოქმედო პროგრამა, რომელიც პარტიის XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა შეიმუშავეს, ოპტიმიზმით შეპყრებენ მომავალს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით უზრუნველყონ ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი აყვავება.





## კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკო

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკო დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სოფელ ბოლშაია ტესში, რუსია.

1931 წლიდან არის სკკპ წევრი. განათლება უმაღლესი — დამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღლესი სკოლა.

შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერენეკომ ადრეული ასაკიდან დაიწყო, როცა მოჯამაგირედ მუშაობდა კულაკებთან. მეოთხე მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ ორგანოებში. 1929—1930 წლებში კ. უ. ჩერენეკო იყო სრულიად საქავეშირო ალკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს მონაღისედ წავიდა წითელ არმიასი. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერენეკო მუშაობდა კრასნოიარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოსა და უიარის რაიონების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის მხარის პარტიული განათლების სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანად.

1943 წლიდან კ. უ. ჩერენეკო სწავლობს სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტორგანიზატორთა უმაღლეს სკოლაში. სწავლის დამთავრების შემდეგ 1945 წლიდან მუშაობს პარტიის პენსის საოლქო კომიტეტის მდივანად. 1948 წელს ვაგაენეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში და დამატუიკეს მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან დიდი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა რესპუბლიკაში ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობას, გეორმელთა კომუნისტურ აღზრდას.

1956 წელს კ. უ. ჩერენეკო დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სექტორს პროპაგანდის განყოფილებაში, და ამავე დროს დამატუიკეს ჟურნალ „აგიტატორის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1960 წლიდან იგი მუშაობს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს კ. უ. ჩერენეკო დაამტუიკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966—1971 წლებში იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. პარტიის XXIV ყრილობაზე (1971 წლის მარტი) მას ირჩევეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანად.

1977 წლიდან იგი პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატი, ხოლო 1978 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრი. იგი სსრ კავშირის მე-7—10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ მე-10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კ. უ. ჩერენეკო იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო თათბირზე (პელსინკი, 1975 წელი). მონაწილეობდა ვენაში განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაში (1979 წელი).

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომელიც კი პარტიას მიუძღვია მისთვის, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, პარტიულ პრინციპულობას, ლენინის დიადი საქმის, კომუნისტების იდეალების ერთგულებას. კ. უ. ჩერენეკო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატის განვითარების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერენეკომ გააკეთა მოხსენება, რომელშიც განსაზღვრულია თანამედროვე პირობებში სკკპ იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკოს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედალით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატია.

კ. უ. ჩერენეკო დაჯილდოებულია სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

## მ ი მ ა რ თ ვ ა

### კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

#### ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტა, მშვიდობისა და კომუნისმისათვის დაუცხროველი მებრძოლი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

მისი სიცოცხლე პარტიისა და ხალხის ინტერესების, ლენინის დიდი საქმის თავდადებული სამსახურის ნიშნეა. ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით შრომობდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, იგი თავის ძალღონეს, ცოდნას, უდიდეს ცხოვრებულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განუხრველ განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას. დიდი პოლიტიკური ხელმძღვანელის თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა ი. ვ. ანდროპოვის მთელ მრავალმხრივ საქმიანობაში — კომკავშირულ სამუშაოებზე და კარგითავე დიდი სამაშულო ომის წლების მანძილზე პარტიაწარული მოძრაობის ორგანიზაციაში, პარტიული და დიპლომატიური მოღვაწეობის პასუხსაგებ უზნებზე. დიდი შრომა გასწია მან ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების განსამტკიცებლად.

ამხანაგ ანდროპოვის — ლენინური ტიპის ხელმძღვანელის უდიდესი ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი მთელი ძალით გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე მუშაობისას.

ხანმოკლე იყო ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეთაურად. მაგრამ ამ დროის მანძილზე პარტიამ, რომელიც XXVI ყრილობის კურსს ადგას და შემოქმედებითად ავითარებს მას, უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულდებით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მათი ურდვევი ერთიანობის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსებტები გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები. პლენუმების გადაწყვეტილებებში, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში განვითარებული და დაკონკრეტებული იყო პარტიის თანამედროვე სტრატეგია — მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის სტრატეგია.

ამ პერიოდში პარტიისა და ხალხის ძალისხმევა ხმარდებოდა ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას.

პარტიის ღონისძიებანი ექვემდებარება ერთ მიზანს — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდას. ყოველივე ამაში დიდი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დამსახურება.

მნიშვნელოვანია ი. ვ. ანდროპოვის წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივ თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერაში.

მისი ხელმძღვანელობით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სახელმწიფო თანამშედევრულად და მტკიცედ ახორციელებდნენ საერთაშორისო ასპარეზე ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს — თერმოპირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ბრძენების უკუგდების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს.

ამ მუშაობების დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირავებთან პარტიის ცენტრალური კომიტეტის,

საკვ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურს გარშემო. საბჭოთა კავშირის მშრომლებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ნაცად, კოლექტიურ ბელადად, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც ხალხის საარსებო ინტერესებს გამოხატავს. პარტიის ლენინური კურსი ურყევია. პარტია აღჭურვილია საკვ XXVI ყრილობის, საკვ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული მოქმედების ნათელი და მკაფიო პროგრამით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავც მტკიცედ და მიზანმიმართულად განხორციელებს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ორგანიზებულიობისა და დისციპლინის გაძლიერების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუზრვლელი ამაღლების გეზს, იგი განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურდვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, აღზრდის ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნისმის დიადი იდეალების ერთგულების სულისკვეთით.

ახლანდელ რთულ, საშიშად გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ თანამიმდევრულად დაცვან მშვიდობის საქმე, გამოიჩინონ მტკიცე ნებისყოფა და სიფხვილე, გადაჭრით ჩაშლონ იმპერიალიზმის ავანტიურისტული ზრახვები, განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება.

საბჭოთა ხალხი იმის მტკიცე მოწინააღმდეგეა, რომ სადავო საერთაშორისო საქითხები ძალის მეოხებით გადაწყდეს. უომო მსოფლიო ჩვენი იდეალია. მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტური და მუშათა პარტიები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ხალხის ფარ-

თო მასები, რომლებიც თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის იღვწიან.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო კვლავც მტკიცედ და განუხრელად განხორციელებს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან, აქტიურად ვითანამშრომლოთ იმ მთავრობებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან პათიოსნად და კონსტრუქციულად იმუშაონ მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხმა მტკიცედ იცის: პარტია, ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი ლენინური დროშის, დიდი ოქტომბრის საქმის ურყევად ერთგულნი არიან. პარტია დიდად აფასებს ხალხის ნდობას და თავისა საქმიანობის უმაღლეს მიზნად მიაჩნია ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, პარტიისა და ხალხის ერთიანობა იყო, არის და იქნება ჩვენი ძლიერების წყარო.

კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი ყოველთვის დარჩება როგორც მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრების უსაზღვროდ ერთგული, პრინციპული და თავმდაბალი, მშრომელ ადამიანებთან დაახლოებული, მათი საჭიროებებისა და საზრუნავისადმი გულსხმიერი ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევდა ყველაფერი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისათვის დაეჭვემდებარებინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ახალი ძალით გამოიჩინენ თავიანთ კლასობრივ შეგნებასა და ორგანიზებულიობას, თავიანთ მაღალ კოლექტივისტურ თვისებებს, მიზანდასახული, თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.



იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

ბ ბ მ ბ მ ბ ( ) ბ ბ

მ. დ. ТОКМАЗИШВИЛИ

ОБ ОСНОВНОМ ОТНОШЕНИИ СОЦИАЛИЗМА

Процесс познания экономических явлений есть проникновение мысли во внутреннюю основу и всестороннее выявление закономерностей самой сущности производственных отношений. Раскрыть эту сущность — значит проанализировать основное отношение и выявить его внутренние стороны, в силу чего оно выступает определяющим.

Основное производственное отношение характеризует наиболее существенную связь всей системы производственных отношений и проявляется в них в разной степени и в разных формах.

რამ იგივე ამოცანა, რომელიც დასმული იყო ჩვენს წინაშე, როცა ვაწარმოებდით ომს თეთრგვარდიელებთან, როცა ვხედავდით მუშურ-გლეხური მასების ისეთ ენთუზიაზმს და ენერჯის ისეთ დაძაბვას, როგორიც სხვა სახელმწიფოებში არავითარი ომის დროს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო<sup>2</sup>. ამ ამოცანის შესაბამისად ხორციელდებოდა ჩვენი ქვეყნის ტრანსპორტის, უწინარეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტის, მუშაობის გადახალისება.

1921 წელს გაერთიანდა ამერიკავკასიის სამი დამოუკიდებელი რკინიგზა, რასაც დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გადახალისებასთან ერთად მიღებულ იქნა ზომები რესპუბლიკის სხვა სახის ტრანსპორტის, და განსაკუთრებით საზღვაო ტრანსპორტის, აღდგენა-განვითარებისათვის.

როგორც ცნობილია, შავი ზღვის სანაპირო ხაზის სიგრძე საქართველოში 300 კილომეტრს აღემატება. აქ მდებარეობს ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურები, ქობულეთის, ოჩამჩირის, ახალი ათონის, გუდაუთის რეიდები და მთელი რიგი ბუნებრივი ბოლაზები. მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და მენშევიკური მთავრობის პირობებში ღრმა ეკონომიკური კრიზისის შედეგად მოიშალა საქართველოს ნავსადგურების მეურნეობა, განადგურდა საზღვაო ფლოტი და გემთშემკეთებელი სახელოსნოები, გაიბნა მეზღვაურთა და მტკირთავთა კადრები.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტს საბჭოთა რუსეთის ეკონომიკურ პირობებში, დასავლეთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისათვის, დიდი როლის შესრულება ეკისრებოდა. ამის შესახებ ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ორი დღით ადრე რკ (ბ) X ყრილობაზე აღნიშნა; „წაიკითხეთ თუ არა გახეთში, რომ იხსენება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გავეიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“<sup>3</sup>.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ამ პერიოდისათვის საქართველოსა და დასავლეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისა და ამ საქმეში ბათუმის ნავსადგურის როლს, მკაფიოდ ჩანს მის მიერ „აზნევის“ სამმართველოს მისამართზე გაგზავნილ წერილში, რომ აზერბაიჯანის ნავთობის პროდუქტები „გაგზავნილი უნდა იქნეს ბათუმით, საქართველოს ტერიტორიით, ასე რომ ერთიანი სამეურნეო ცენტრი გვექნება“<sup>4</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნა ხორციელდებოდა სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის პრინციპებისა და საერთო კანონზომიერებათა საფუძველზე, არსებობდა ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენდა რესპუბლიკაში დაწყებულ რევოლუციურ გარდაქმნათა პროცესებზე. გათვალისწინებულია ისიც, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენა დაკავშირებული იყო დიდი სახსრების გამოყოფასთან, ეს კი, იმ დროინდელ პირობებში, რესპუბლიკას არ გააჩნდა. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან სესხის ან დახმა-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 611.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 329.

<sup>4</sup> Ленинский сборник, т. 20, с. 178.

რების მიღება შეუძლებელი იყო, საქმეს ართულებდა ისიც, რომ საქართველოს კომპარტიში თავი იჩინა ობოზციამ ნაციონალურ-უკლონისტების სახით, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ პარტიის მიერ აღებული სწორი კურსის გატარებას. ამიტომ, ისინი ობიექტურად ხელს უშლიდნენ საქართველოში სოციალისტური მშენებლობის განხორციელებას. ი. ბ. სტალინი ითვალისწინებდა რა საქართველოში შექმნილ ვითარებას, 1921 წლის ივლისში თბილისის პარტიულ ორგანიზაციის აქტივის კრებაზე თავის მოხსენებაში „კომუნისმის მორიგი ამოცანების შესახებ ამიერკავკასიისა და საქართველოში“ აღნიშნავდა: „ახლა, როცა ჩვენ ფეხი შევდგით სამეურნეო მშენებლობის ახალ პერიოდში, როცა ომიდან გადავდით მშვიდობიან მუშაობაზე... ეს ახალი პერიოდი ავალებს კომუნისტებს მთელი ძალები გადაისროლონ სამეურნეო ფრონტზე, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სასურსათო საქმეში, კოოპერაციაში, ტრანსპორტის საქმეში და ა. შ. ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია სამეურნეო ნგრევის დაძლევა“<sup>5</sup>.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და ტრანსპორტის აღდგენის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და შემდეგ კი რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან იქმნება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილებები. ანალოგიური განყოფილებები შეიქმნა აგრეთვე ავტონომიურ, საოლქო კომიტეტებთან, რომლებმაც იმავეთვე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს საზღვაო ტრანსპორტისა და მათი დამხმარე მეურნეობების სათანადო კადრებით უზრუნველყოფისა და საზღვაო ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღდგენისათვის.

რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის აღდგენის მიზნით, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო მართვის ძველი სისტემის გარდაქმნა ახალ, სოციალისტურ საწყისებზე. მმართველობის ძველი სისტემის რეორგანიზაციის პროცესი მიძინარეობდა რესპუბლიკაში სოციალისტური სახალხო მეურნეობის მშენებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ საზღვაო ტრანსპორტის გარდაქმნა გახანგრძლივდა თითქმის ორ წელიწადამდე. ვინაიდან საქართველოს ნავსადგურებს არ გააჩნდათ ცენტრალური მმართველობის აპარატი, 1921 წლის 19 მარტს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა ნავსადგურების ქვეგანყოფილება, ხოლო 1921 წლის 29 მარტს დაარსდა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო, რომელიც ჯერ დაქვემდებარა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, შემდეგ კი რევკომსა და ბოლოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს<sup>6</sup>. ამავე პერიოდში იყო ცდები, რათა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო თავისი დამხმარე მეურნეობებით დაქვემდებარებოდა შავი ზღვის სამმართველოს (ნოვოროსიისკი ან როსტოვი). მაგრამ, ამის წინააღმდეგ გამოვიდა საქართველოს რევკომი, რომელსაც მხარი დაუჭირა ვ. ი. ლენინმა. მისი მითითებით ეს საკითხი განიხილა პოლიტიბიურომ და მიღებული გადაწყვეტილებით (1921 წლის 19 აპრილი) საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო დარჩა რესპუბლიკის დაქვემ-

5 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 97.

6 Отдел портов Закавказья 1921—1924. Исторический очерк, обзор эксплуатационной и технической деятельности отдела портов и подведомственных ему учреждений, Тиф., 1926, с. 34.

დებარებაში. ამასთან ერთად, რსფსრ საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს დაევალა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა<sup>7</sup>.

ამასობაში, საქართველოს სსრ რეკომის 1921 წლის 26 აგვისტოს დეკრეტით, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ყველა ნავსადგური, მათი დამხმარე მეურნეობები, მცურავი ერთეულები, საწყობები, ელინგები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება<sup>8</sup>. დეკრეტი არ ვრცელდებოდა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შექმნილ საზღვაო ტრანსპორტის საწარმოებზე და მოტორიალქნიან მცურავ ერთეულებზე, რომელთა სიგრძე არ აღემატებოდა 75 ფუტს, აგრეთვე კოპერაციის საკუთრებაში მყოფ მცურავ ერთეულებზე, სალოცმანო და თევზსაჭერ ნაგებზე. კერძო საკუთრებაში არსებული გემების მეპატრონეებს ეკრძალებოდათ სხვისი შრომის ექსპლოატაცია, ზოლო ნავსადგურების სამმართველოს უფლება მიენიჭა იჯარის წესით კერძო საკუთრებაში მყოფი გემების დაქირავებისა<sup>9</sup>. ამრიგად, ნაციონალიზაციას არ ექვემდებარებოდა მცირე საცურაო ერთეულები, რომელთა მესაკუთრეები დაქირავებულ შრომას არ იყენებდნენ. მცირე მოცულობის გემების ნაციონალიზაცია უფრო მოგვიანებით გატარდა.

რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს ორგანიზაციული სტრუქტურისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოსა და აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის გაერთიანებას, რომელიც განხორციელდა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს 1921 წლის 5 ნოემბრის დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 22 აპრილის დადგენილებით, რესპუბლიკის ნავსადგურების სამმართველოს გამოეყო სახელმწიფო ნაოსნობა და მას ჩამოერთვა საზღვაო ფლოტის ექსპლოატაციის უფლებები. ამრიგად, ახლადშექმნილ სახელმწიფო ნაოსნობას, რომელსაც დაევალა რესპუბლიკის ნავსადგურებს შორის ტვირთზიდვა, უფლება მიენიჭა ამ მიზნისათვის გამოეყენებინა ყველა ის გემი, რომელიც ეკუთვნოდათ უწყებებსა და კერძო პირებს, აგრეთვე მათი საწყობები, ნავსადგურები და სხვა დამხმარე მეურნეობები.

სახელმწიფო ნაოსნობამ ნავსადგურების სამმართველოდან მიიღო რვა საცურაო ერთეული, ნაოსნობის ადგილსამყოფელად გამოცხადდა თბილისი, ხოლო ბათუმში შეიქმნა მთავარი სააგენტო<sup>10</sup>.

ამ პერიოდისათვის, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მომსახურეობას უწევდა რამდენიმე ორგანიზაცია, როგორც იყო, მაგალითად, „ნაოსნობის საქციონერო საზოგადოება“, „ნებაყოფლობითი ფლოტის საზოგადოება“, მთელი რიგი სააგენტოები და სხვ.

სააქციონერო სანაოსნო საზოგადოება მიზნად ისახავდა ახალი გემების შექმნას, კერძო პირთა საკუთრებაში მყოფი გემებისა და კატარლების გაერთიანე-

7 В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 52, с. 392.

8 საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული 1921—1940 წწ. ტ. I, თბ., 1959, გვ. 18—19.

9 კ. ტოტოჩავა, ზღვაოსნობისა და გემთშენებლობის განვითარება საბჭოთა აჭარაში (1921—1958 წწ.), ბათუმი, 1975, გვ. 34.

10 Отдел портов Закавказья..., с. 41.

ბას, სანაპირო ტვირთზიდვის ორგანიზაციას და ამ ტვირთის დაზღვევას (საფასურის გადახდის გარანტიით), დაზიანებული გემების შეკეთებას, საბაჟო წესების დაცვის უზრუნველყოფას. ყოველივე ეს ხელს უწყობდა საზღვაო ტრანსპორტის წვრილი ერთეულების, მათი დაქსაქსულობის ლიკვიდაციას.

ნებაყოფლობითი ფლოტის საზოგადოება რუსეთში შეიქმნა 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ. ფლოტისათვის საჭირო გემები შექმნილ იქნა რუსეთის იმპერიის ხალხთა ფართო მასების შეწირულებით. ნებაყოფლობითი ფლოტი თავდაპირველად მიზნად ისახავდა ომის შემთხვევაში დახმარებოდა მეფის რუსეთის სამხედრო ფლოტს. მალე მის განკარგულებაში იყო ოთხი კრესიერის ტიპის გემი („რუსეთი“, „პეტერბურგი“, „მოსკოვი“ და „ნიჟნი-ნოვგოროდი“). ვინაიდან შენელდა თურქეთთან ომის დაწყების მოსალოდნელი საფრთხე, ნებაყოფლობითი ფლოტი ჩაღდა საგარეო ვაჭრობის საშესაბურთო. 1916 წლისათვის ნებაყოფლობითი ფლოტს გააჩნდა 42 საოკეანო გემი, რომლის საერთო წყალწყვა 5900000 ფუტს შეადგენდა. ფლოტი ანხორციელებდა რეისებს ოდესიდან — ვლადივოსტოკამდე, იაპონიისა და ჩინეთის მთელ რიგ ნავსადგურებში შესვლით.

1907 წლიდან ნებაყოფლობითი ფლოტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეფის რუსეთში მცხოვრებ მუსულმანების გასამგზავრებლად მექაში სალოცავად. 1910 წელს ამ გემებით იმგზავრა 12 000 მუსულმანმა.

პირველ მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ნებაყოფლობითი ფლოტს რუსეთისა და საზღვარგარეთის მსხვილ ნავსადგურებში გააჩნდა კარგად მოწყობილი დამხმარე მეურნეობები. ომის დაწყების დროს ნებაყოფლობითი ფლოტი სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა. ნაწილი მათი გემებისა გადაეცა რუსეთის მოკავშირეებს სატრანსპორტო საშუალებათა გაძლიერებისათვის. 1917 წ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მოხდა საზღვარგარეთ მყოფი გემების რეკვიზიცია, ხოლო ნაწილი გემებისა რუსმა ემიგრანტებმა გაყიდეს დაბალ ფასებში.

რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 11 იანვრის დეკრეტით აღდგენილ ნებაყოფლობითი ფლოტი, შეიქმნა ახალი მმართველობის ორგანო, რომელიც შეუდგა გაბნეული და გადაარჩენილი გემების, აგრეთვე მათი დამხმარე მეურნეობების ქონების შეგროვებას. საზღვარგარეთ გაიგზავნა რწმუნებულები. მათ დაევალათ სასამართლო პროცესების აღძვრა რუსეთის გემების დაბრუნებისათვის, ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ნავსადგურებში და სხვა პუნქტებში გაიხსნა ნებაყოფლობითი ფლოტის სააგენტოები.

სასამართლო პროცესების წარმატებით დამთავრების შედეგად ინგლისმა საბჭოთა ქვეყანას დაუბრუნა 9 გემი. იქნებოდა შესაბამისი პირობები გემების დაბრუნებისა ამერიკის შეერთებულ შტატებიდან, იაპონიიდან, საფრანგეთიდან და სხვა.

აჭარის ასსრ ნებაყოფლობითმა ფლოტმა მუშაობა დაიწყო 1922 წლის სექტემბრის დამლევს, როდესაც იმპორტმა შედარებით ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ მას ბევრი ხელისშემშლელი პირობა შეხვდა. კერძოდ, ნებაყოფლობითი ფლოტის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა ბათუმში მოქმედი მრავალი კერძო საექსპედიციო-სატრანსპორტო კანტორა, რომლებიც სარგებლობდნენ თავისუფალი ვაჭრობის უფლებებით.

ამავე დროს, საბაჟო სამმართველოში მოკალათებული საექვო პიროვნებები ყოველმხრივ ცდილობდნენ ნებაყოფლობითი ფლოტის უფლებათა კერძო ექსპედიტორებისა და თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტას. მაგრამ, შემდგომ პერიოდში, როდესაც საბაჟოს აპარატი გაიწმინდა არასანდო თანამშრომლები-საგან, ნებაყოფლობითმა ფლოტმა უკეთესად წარმართა თავისი მუშაობა<sup>11</sup>. ფლოტი, თავისი სააგენტოების მეშვეობით, მომსახურეობას უწევდა სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და კერძო პირებს შორეულ რეისებით ტვირთზიდვაში, უმთავრესად კი გამოიყენებოდა მანგანუმისა და თამბაქოს საექსპორტო ოპერაციებისათვის<sup>12</sup>. აღსანიშნავია, რომ ნებაყოფლობითმა ფლოტმა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ აღადგინა ფართო სატრანსპორტო ორგანიზაციები. მისი ერთ-ერთი სააგენტო წარმატებით მოქმედებდა ირანში<sup>13</sup>.

ამ პერიოდისათვის, რესპუბლიკის ნავსადგურებზე (ბათუმი, ფოთი, სოხუმი) სულ მიწერილი იყო სხვადასხვა ტიპისა და წყალწყვის 27 სატრანსპორტო გემი<sup>14</sup>. მაგალითად, ბათუმის ნავსადგურის მცურავი შემადგენლობა განისაზღვრებოდა ერთი მცირე ტონაჟის კატარლით („კრასნი ბათუმი“), ერთი ბარჯით, 50 ტონიანი მცურავი ამწით, ერთი ბაქნისა და სამი მოძრავი პატარა ამწით (3—6 ტონა). ნავსადგურს ემსახურებოდა აგრეთვე კერძო პირთა რამდენიმე მცურავი ერთეული, ხოლო „ნაოსნობის საზოგადოების“ განკარგულებაში იყო კატარდები „ნინა“, „ზოლუშკა“, „ბეისუსი“, 8000 ფუთი წყალწყვის რკინის ბარჯა და ხის გემი 2500 ფუთი წყალწყვისა<sup>15</sup>. ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიაზე გაყვანილი იყო 4,6 კმ სიგრძის რკინიგზის ხაზი და 3,5 კი სიგრძის საქაპანე გზა.

სოხუმის ნავსადგურს არც ერთი გემი არ ემსახურებოდა. თუმცა მასზე მიწერილი იყო სამარჯაფო კატარა „ფრანცი“ და ფელიუგა „ელენა“.

ნავსადგურებში ტვირთბრუნვა არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს. ამ მხრივ, მდგომარეობა გაუმჯობესდა 1921 წლის მეორე ნახევრიდან, მაგრამ აქაც თავი იჩინა გაუგებრობამ სოციალისტური ტრანსპორტის დანიშნულებისა და გამოყენების საკითხებში. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის ინიციატივით საზღვაო ტრანსპორტით ტვირთზიდვა უფასოდ წარმოებდა, რაც იწვევდა ნავსადგურების ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას. მაგალითად, 1922 წელს ბათუმის ნავსადგურის შემოსავალი შეადგენდა 78944 მანეთს, ფოთისა — 23812 მანეთს, სოხუმისა 8300 მანეთს, სამივე ნავსადგურის სულ — 141 875 მანეთს. საზღვაო ტრანსპორტის უფასო ოპერაციების წარმოება კატეგორიულად აიკრძალა. 1922 წლის 14 მარტიდან ნავსადგურები გადავიდნენ ფასიან მომსახურებაზე და მათი შემოსავალი გაიზარდა — 481 060 მანეთამდე<sup>16</sup>.

ნავსადგურების მძიმე სამეურნეო პირობები, რაც მენშევიკური მთავრობისაგან მემკვიდრეობით იქნა მიღებული, ვერ უზრუნველყოფდნენ ტვირთბრუნვის სწორ ორგანიზაციას. ბათუმის ნავსადგურის ძირითადი ნაგებობები გე-

<sup>11</sup> Транспорт СССР, М., 1967, с. 123.

<sup>12</sup> Партархив Аджаробкома КП Грузии, фонд I. оп. I, д. 248, л. 11—13.

<sup>13</sup> კ. ტოტოჩავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

<sup>14</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1975, გვ. 114.

<sup>15</sup> საქართველოს სსრ ორცხა, ფონდი 200, საქ. 95, ფურც. 458,464—465, კ. ტოტოჩავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 69.



მების მომსახურებისათვის უვარგისი იყო. არ წარმოებდა გემების მისადგომების გაწმენდა-ვალრმაგება. შეკეთებას საჭიროებდა ნავსადგურების ორი უმოქმედოდ მდგარი ელინგი, წყალგაყვანილობა და გემთშემკეთებელი სახელოსნოების შენობები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ მოძველებული დაზგებითა და მოწყობილობებით. წვრილ დაქსაქსულ გემთშემკეთებელ სახელოსნოებს უკეთეს შემთხვევაში შეეძლოთ მხოლოდ ზოგიერთი პატარა გემის, მოტორიანი კატარლის მოტორიანი-იალქნიანი გემის შეკეთება. სახელოსნოები მწვავედ განიციდინენ მუშაძალისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, სისტემატურად არ მარაგდებოდნენ სათანადო მასალითა და საწვავ-სათბობით. ყოველივე ამის შედეგად, სახელოსნოები არასრული დატვირთვით მუშაობდნენ და ამასთან დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება.

საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებში გემების მომსახურების დაბალი დონე მკვეთრად ზღუდავდა ამ ნავსადგურებში საზღვაოგარეთის გემების შემოსვლას.

1921 წლის პირველ ნახევრიდან შესაძლებელი გახდა ბათუმის ნავსადგურის ზოგიერთი გამოუყენებელი შენობის გადაკეთება გემთშემკეთებელ სახელოსნოდ. ამავე დროს, დაიწყო ელინგის შეკეთება, სახელოსნოში ამოქმედდა ახალი საამქროებიც, აშენდა საწყობები, ფარდულები და სხვ. ნავსადგურის გემთშენებელ სახელოსნოს, რომელიც მწყობარში ჩადგა 1921 წლის 18 აგვისტოს, ჰქონდა სახარატო — საზეინკლო, სასხმელი, სადურგლო და სამჭედლო საამქროები, სადაც წარმოებდა სახელმწიფო ნაოსნობისა და კერძო პირების გემების შეკეთება. ზოგჯერ აქ შეკეთებისათვის საზღვაოგარეთის გემებიც დგებოდა<sup>17</sup>. 1923 წლისათვის ბათუმის გემთშემკეთებელ სახელოსნოს უკვე შეეძლო გემების შეკეთების რთული სამუშაოების შესრულება. მუშაობა განაახლა აგრეთვე ფოთის გემთშემკეთებელმა სახელოსნომ. აქ 1922 წელს შეკეთდა რამდენიმე მოტორიანი გემი და ბარჯა<sup>18</sup>. აგრეთვე, ელინგის ამწე მექანიზმები. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთის სახელოსნოებმა ამოიღეს რამდენიმე ჩაძირული გემი და მოახდინეს მათი კაპიტალური შეკეთება<sup>19</sup>. მაგრამ, ყველაზე უფრო დიდი წარმატება მოპოვებული იქნა 1923 წელს, როდესაც ბათუმისა და ფოთის სახელოსნოებმა თითქმის ერთდროულად, მთავრობის დავალებით, შექმნეს მკურავი მიწახაპია მანქანა „საბჭოთა საქართველო“ ამავე დროს, ბათუმის სახელოსნომ კაპიტალურად შეაკეთა მოძველებული მიწახაპია „კასტორია“.

ასეთი რთული ხასიათის სამუშაოთა შესრულება უმოკლეს პერიოდში, საკუთარი ძალებითა და სახსრებით, უცხოური კაპიტალის დახმარების გარეშე, სახელოსნოების შრომითი კოლექტივების დიდ გამაძრვებლად იქნა აღიარებული. ამის შესახებ გაზ. „კომუნისტი“ აღნიშნავდა: „დღემდე საქართველოს ნავსადგურებს არ გააჩნდათ საკუთარი მიწათამლევი და ყოველივე საჭიროების დროს ... ნავსადგურის ადმინისტრაციას მთელი წლობით უხდებოდა სხვადასხვა შორეულ ნავსადგურებში ხეტიალი მიწათამლევის საშოვნელად. მიწათამლევის საშუალებით შესაძლებელი ხდება ნავსადგურის ვალრმაგება 35 ფუტამდე. დიდი წყალტევის საოკეანო გემებს თავისუფლად შეეძლება ნავსადგურში შემოსვლა“<sup>20</sup>.

17 «Отдел портов Закавказья»..., с. 218—219.

18 საქართველოს სსრ ორცხა, ფონდი 800, ანაწ. 2, საქ. 7, ფურც. 5.

19 გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 5 ივლისი.

20 გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 5 მაისი.



აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთის ნავსადგურის მომსახურეობისათვის შეიქმნა მანქანის შექმნის თაობაზე, ჯერ კიდევ მენშევიკების მთავრობის დროს არაერთხელ მიუძღრებოდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძისათვის, მაგრამ მისი განხორციელება იმ დროის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა<sup>21</sup>. ნავსადგურის აკვატორიის მცირე სიღრმის გამო საოკეანო გემებზე გაწეული ფრახტი შეუწელებლად იზრდებოდა, ნავსადგური განიცდიდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობას.

საქართველოს სსრ ნავსადგურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ტვირთბრუნვის გადიდებას და მასთან ერთად ნავსადგურების, განსაკუთრებით კი ბათუმის ნავსადგურის ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგებას.

ბათუმის ნავსადგურიდან უმთავრესად გადიოდა ნავთობის პროდუქტები, რკინა, ცემენტი, აბრეშუმის პარკი, ხილი, ღვინო, სხვადასხვა სახის ნედლეული და სხვ. შემოპქონდათ: მანქანები, მექანიკური ნაწარმი, მანუფაქტურა, ფქვილი, შაქარი და სხვ.

ფოთის ნავსადგური წარმოადგენდა რსფსრ-სა და უკრაინის ნავსადგურებთან მცირე კაპოტაჟის პირველად პუნქტს.

ფოთის ნავსადგურში შემოპქონდათ მარცვლეული, შაქარი, მარილი, თამბაქო, ცემენტი, რკინა, მანუფაქტურა, საზღვარგარეთ გაპქონდათ ძირითადად მანგანუმი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ყველაზე დიდი მოცულობის საქსპორტო ტვირთს შეადგენდა ნავთობის პროდუქტები და მანგანუმი, რომლებიც ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებიდან გადიოდა. ამიტომ, ბათუმის ნავსადგური, ტვირთბრუნვის მიხედვით ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი საზღვაო ჭიშკარს წარმოადგენდა. ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვის მაჩვენებლები, ბათუმისაგან განსხვავებით, უფრო დაბალი იყო, მაგრამ საგრძნობლად უსწრებდა შავი ზღვის სხვა ნავსადგურებს<sup>22</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი იმყოფებოდა კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკური ბლოკადის პირობებში, მაინც საზღვარგარეთის ზოგიერთი ფირმა ამყარებდა სავაჭრო ურთიერთობას საბჭოთა რესპუბლიკებთან, განსაკუთრებით მათ აინტერესებდათ მანგანუმისა და ნავთობის პროდუქტების შესყიდვა. 1923 წლიდან საგრძნობლად იზრდება საქართველოს ნავსადგურებიდან საქსპორტო ტვირთის გატანა. ამავე დროს, თანდათანობით ფართოვდება ტვირთბრუნვა რუსეთსა და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან, რასაც ხელს უწყობდა შავი ზღვის საზღვაო ტრანსპორტი და ნავსადგურების მეურნეობის გაუმჯობესება თუმცა, საზღვაო ტრანსპორტის კვლავ მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ნაწილობრივ აღდგენილი და ზოგჯერ გადაკეთებული გემები არ იძლეოდნენ დადებით ეკონომიკურ შედეგს. ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად საზღვაო სატრანსპორტო გემების მშენებლობა არ არსებობდა 1925 წლამდე<sup>23</sup>,

<sup>21</sup> ა. კოკლავაშვილი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში, თბ., 1966, გვ. 144—145.

<sup>22</sup> В. Мн х а й л о в с к и й, Морской транспорт в цифрах и диаграммах, М., 1929, с. 63, 63.

<sup>23</sup> История социалистической экономики СССР, т. II, М., 1976, с. 405.

ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურების ტვირთზიდვა<sup>24</sup> (ფუთობით)<sup>24</sup>

	1913 წ.	1924—1925 წწ.	1925—1926 წწ.
გაგზავნილია კაპოტაჟით	231227	49460	80054
გაგზავნილია საზღვარგარეთ	1861157	1329855	1504621
ს უ ლ	2092384	1379315	1584675
მიღებულია კაპოტაჟით	479691	67151	126426
მიღებულია საზღვარგარეთიდან	36147	101444	42631
ს უ ლ	515838	168595	169107
საერთო ტვირთზიდვა კაპოტაჟით	716918	116611	206480
საერთო ტვირთზიდვა საზღვარგარეთიდან	1897304	1431299	1547302
ს უ ლ	2608222	1547910	17553782

როგორც აღვნიშნეთ, ტვირთზიდვის მიხედვით მაღალ მაჩვენებლებს აღწევს ბათუმის ნავსადგური. მაგალითად, 1923 წელს ბათუმის ნავსადგურის საერთო ტვირთზიდვა შეადგენდა 42643173 ფუთს, აქედან, ექსპორტზე მოდიოდა მთელი ტვირთზიდვის 95 პროცენტი, საქსპორტო ტვირთის ორ მესამედზე მეტს ნავთობის პროდუქტი შეადგენდა (35245533 ფუთი)<sup>25</sup>.

1924 წ. ფოთის ნავსადგურის საერთო ტვირთზიდვა შეადგენდა 28791011 ფუთს, აქედან იმპორტზე მოდიოდა 1472081 ფუთი (საერთო ტვირთზიდვის 4,5 პროცენტი), ექსპორტზე — 27318390 ფუთი (95,5 პროცენტი), მანგანუმი შეადგენდა მთელი ექსპორტის 96,5 პროცენტს (26332236 ფუთი) და ტვირთზიდვის 95 პროცენტს. გატანილი ტვირთის 98,5 პროცენტი საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობაზე მოდიოდა, 1,5 პროცენტი კი — კაპოტაჟურ ტვირთზიდვაზე<sup>26</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ 1924 წელს ფოთის ნავსადგურის ტვირთზიდვა, 1921 წელთან შედარებით, 6-ჯერ გაიზარდა, თუმცა ომამდელი მაქსიმალური წლიური ტვირთზიდვის მაჩვენებელი (64990000 ფუთი) 44,5 პროცენტს შეადგენდა<sup>27</sup>.

სოხუმის ნავსადგურის საერთო ტვირთზიდვა, 1921 წლიდან 1923 წლის იანვრამდე, შეადგენდა 1836219 ფუთს, მათ შორის, შემოიტანეს 852216 ფუთი, გაიტანეს 984,003 ფუთი.

სოხუმის ნავსადგურმა შედარებით მაღალ მაჩვენებელს ტვირთზიდვის მიხედვით 1925 წელს მიაღწია, იგი გაიზარდა 1750000 ტონამდე.

ტვირთზიდვის გადიდებასთან ერთად იზრდება საზღვაო ტრანსპორტით ძგზავრთა გადაყვანის რაოდენობა, რაც ჩანს ქვემოთმოტანილი მონაცემებიდან (იხ. ცხრილი 2).

<sup>24</sup> საბჭოთა საქართველოს 10 წელი, თბ., 1932, გვ. 505.

<sup>25</sup> კ. ტოტოჩავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>26</sup> საქართველოს სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში, თბ., 1925, გვ. 166.

<sup>27</sup> საქართველოს სსრ ორცხა, ფონდი 800, ნაწ. 2, საქ. 1, ფურც. 31.

საქართველოს ნავსადგურებიდან მგზავრთა გადაყვანა 1922—1924 წწ<sup>28</sup>.

ნავსადგურები და რეიდები	წლები	საზღვარგარეთ მიმოსვლა გემებით		კაპოტაჟური გემებით		ს უ ლ	
		მიიღო	გაიგზავნა	მიიღო	გაიგზავნა	მიიღო	გაიგზავნა
ბათუმი	1922	7735	12525	21506	15713	29241	28238
	1924	3477	3292	21725	26535	28202	29827
ფოთი	1922	240	15	3473	3871	3713	3886
	1924	—	—	12239	11356	12239	11356
სოხუმი	1922	—	—	—	—	7902	6575
	1924	4	—	28463	34928	28467	34929
ოჩამჩირე	1924	—	2	4138	3636	4138	3638
გულაუთა	1924	—	—	4183	4039	4183	4039
ახალი ათონი	1924	—	—	124	1179	1241	1179
გაგრა	1924	—	—	6405	6487	6405	6487

ცხრილიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთ მგზავრების გადაყვანა უმთავრესად ბათუმის ნავსადგურიდან ხდებოდა. 1922—1924 წწ. საქართველოს ნავსადგურებში საზღვარგარეთიდან მიღებულ იქნა უფრო ნაკლები მგზავრი, ვიდრე იქ გაიგზავნა. ოდესა-ბათუმისა და ყირიმ-კავკასიის ხაზზე რეგულიარული მიმოსვლის დაწესებამ გაზარდა კაპოტაჟით მგზავრთა გადაყვანა. ამიტომ, ცხრილში მოტანილი ეს მაჩვენებელი, ამავე დროს, გვიჩვენებს მიღებულ მგზავრებთან შედარებით გადაყვანილთა მეტ რაოდენობას. მიღებულ და გაგზავნილ მგზავრთა შორის დიდი ნაწილი მოდის საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ნავსადგურებში მგზავრთა მოძრაობაზე. განსაკუთრებით ეს ითქმის აფხაზეთის ასსრზე, სადაც ჭერ კიდევ არ იყო გაყვანილი რკინიგზა, ხოლო საჭაპანო გზები არ იყო კეთილმოწყობილი. აფხაზეთისა და საქართველოს ეკონომიკურ რაიონებთან დაკავშირება უფრო მოსახერხებელი იყო საზღვაო ტრანსპორტით.

ტვირთბრუნვა და მგზავრთა გადაყვანა უშუალოდ დაკავშირებული იყო გემების მოძრაობასთან, რაც ხორციელდებოდა საზღვარგარეთიდან შემოსული გემებით და კაპოტაჟით. ერთ-ერთი მონაცემით, 1921 წელს საზღვარგარეთიდან ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 136 გემი, 1923 წელს — 146, 1922 წელს ფოთის ნავსადგურში შემოვიდა 25 გემი.

1924 წელს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 1551 გემი და კატარა, ფოთის ნავსადგურში — 564, სოხუმის — 51. ომამდელ მონაცემებთან შედარებით საზღვარგარეთიდან გემების შემოსვლა მნიშვნელოვნად შემცირებულია, მაგალითად, 1922 წელს ფოთის ნავსადგურში მანგანუმის ექსპორტისათვის შემოვიდა ექვსჯერ ნაკლები (25 გემი), ვიდრე 1913 წელს (157 გემი), ინგლისი-

<sup>28</sup> Народное хозяйство Закавказья в цифрах, с. 564—565; კ. ტ. ო. ტ. ო. ჩ. ა. ვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

დან თითქმის 10-ჯერ ნაკლები (9), სამაგიეროდ გადიდა რსუსრ-თან გემების მიმოსვლა (277 გემი)<sup>29</sup>. ეს ტენდენცია მომდევნო წლებში უფრო თვალსაჩინო ხდება. ეს ფაქტორები აუმჯობესებდნენ რესპუბლიკის ნავსადგურების ფინანსურ მდგომარეობას და მის შესაბამისად მცირდებოდა სახელმწიფო დოტაცია. 1925 წელს ნავსადგურების საერთო შემოსავალი შეადგენდა 1415734 მანეთს, ხოლო 1928 წლის 1 ოქტომბერს 2317383 მანეთს. ყველაზე მეტ მოგებას ბათუმის ნავსადგური იღებდა, რომელიც თავის მხრივ დახმარებას უწევდა სხვა ნავსადგურებს, განსაკუთრებით კი — სოხუმისას.

აღსანიშნავია, რომ 1923 წლიდან, საზღვაო ტრანსპორტის ტვირთზიდვაში, საგრძნობლად მცირდება კერძო პირთა გემების გამოყენების ხვედრითი წილი. ახლა უმთავრესად ტვირთზიდვა ხორციელდებოდა სახელმწიფო საზღვაო ტრანსპორტით. 1925 წლის იანვრიდან სსრ კავშირის საზღვაო დაწესებულებები გაერთიანდნენ 4 მთავარ სამმართველოში (ბალტიის, თეთრი ზღვის, აზოვ-მაგი ზღვის, კასპიის) საქართველოს სსრ საზღვაო ტრანსპორტი გადავიდა აზოვ-მაგი ზღვის სამმართველოში.

მიღწეული წარმატებები არ იქნებოდა მოპოვებული, რომ საზღვაო ტრანსპორტი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი თავისებურებებით არ ყოფილიყო უზრუნველყოფილი სათანადო კადრებით. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები შეუწყობდნენ ზრუნავდნენ საზღვაო ტრანსპორტზე დასაქმებული კადრების განახლების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხებზე. ამ დროისათვის შეიმჩნევა საზღვაო ტრანსპორტზე დასაქმებული კადრების შემადგენლობისა და რაოდენობის ცვალებადობა, განსაკუთრებით ეს ითქმის მმართველობის აპარატისა და დამხმარე მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კადრებზე, რაც უნდა აიხსნას მმართველობის აპარატის წმენდით და მტვირთავი მუშების სეზონურობით.

1922 წლის მონაცემებით, ბათუმის ნავსადგურში მუშაობდა 107 კაცი, ფოთის — 114, ხოლო სოხუმის — 30 კაცი. სულ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტზე დასაქმებული იყო 251 მუშა-მოსამსახურე, მათ შორის სახელმწიფოებში და ელნგებზე მუშაობდა 28 კაცი, მცურავ ამწებზე — 16 კაცი, მეზღვაურები: კაპიტანი — 2, შკიპერი — 5, ბოცმანი — 4, მექანიკოსი — 2, ძემანქანე — 2, ძემანქანის თანაშემწე — 2. ნავსადგურების მორიგეთა შტატი შედგებოდა: ნავსადგურის ზედამხედველი — 5, სანაპიროს ბოცმანი — 5, სანაპიროს მეზღვაური — 22, მყვინთავი — 3, ნიშნისმიცემი — 3, და სხვ. დამხმარე პერსონალი — 9 კაცი. მტვირთავი მუშების უმრავლესობა არ საჭიროებდა წინასწარ მომზადებას, ამ სამუშაოს ძირითადად ასრულებდნენ სოფლებიდან მოსული გლეხები. რაც შეეხება კვალიფიციურ მეზღვაურთა კადრებს, მათი მომზადება ხდებოდა ფოთისა (დაარსდა 1880 წ.) და ბათუმის (დაარსდა 1921 წ.) საზღვაო სასწავლებლებში<sup>30</sup>.

საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის მოცულობის გადიდების შესაბამისად იზრდებოდა ამ დარგში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაც, მაგალითად, ერთ-ერთი საარქივო წყაროს მიხედვით 1923 წელს ბათუმის გემთ-

<sup>29</sup> საქართველოს სსრ ორცხა, ფონდი 800, ან. 9, საქ. 59, ფურც. 329, საქართველოს სსრ მთავრობის მოქმედების ანგარიში, თბ., 1925, გვ. 166.

<sup>30</sup> В. К. Чантурия, Батумское мореходное училище имени маршала инженерных войск А. В. Геловани, Батуми, 1980, с. 7, 12.

6. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1984, № 1

შემკეთებელი სახელოსნოში დასაქმებული მუშათა რაოდენობა შეადგენდა 100-ზე მეტ კაცს<sup>31</sup>.

მთელი რიგი პარტიულ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის მუშაკები ყოველთვის მჭიდროდ იყვნენ დარაზმულნი სახელმწიფო გემების შესრულებისათვის. თავადღებით მუშაობდნენ ნავსადგურებისა და სახელოსნოების მუშები, გემის ეკიპაჟები. ხშირად ეწყობა შაბათობები. მაგალითად, ჯერ კიდევ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ თვეებში 1921 წლის 18 ივლისს სოხუმის ნავსადგურში მოწყობილ შაბათობაზე დაიტვირთა 800 ფუთი თამბაქო, ხოლო 25 ივნისს დაიტვირთა ფართლელი და სხვა სამრეწველო საქონელი. ამ დღეს შაბათობაზე მონაწილეობდა 229 კაცი, ხოლო 9 ივლისს კი — 387 კაცი. მათ შორის — 87 კომუნისტი და კომკავშირელი, რომლებმაც დატვირთეს და გადმოტვირთეს 3502 ფუთი ტვირთი. ასევე ფართო მასშტაბით იყენებდნენ შაბათობებს ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეზღვაურთა კავშირის განმტკიცებას ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებთან, რაც ხორციელდებოდა ორმხრივი შეფობის გზით. მაგალითად, ბათუმის მეზღვაურები შეფობას უწყევდა ორთაბათუმისა და ჩაქვის მოსახლეობას, ეხმარებოდნენ მათ კულტურულ-სამეურნეო საქმიანობაში.

ბათუმისა და ფოთის გემთშემკეთებელ სახელოსნოების მუშაკთა კოლექტივების დიდი წვლილი შეჰქონდათ აღნიშნულ ქალაქების სამეურნეო ცხოვრებაში. ბათუმის ნავსადგურის სახელოსნო შეაკეთა ელსადგური, წყალსატუმბი, მიწხაპა მანქანები, რომლებიც ეკუთვნოდნენ წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებს, შეასრულა აგრეთვე მთელი რიგი ჰიდროტექნიკური ხასიათის სამუშაოები. მიღებული მოგება ხელს უწყობდა მეზღვაურთა ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებას.

1927—1928 სამეურნეო წელს საქართველოს ნავსადგურების ტვირთბრუნვა შეადგენდა 2846,3 ათას ტონას, მათ შორის გაიგზავნა 2153,6 ათასი ტონა, ხოლო მიღებული იქნა 203,0 ათასი ტონა. იზრდება აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის რაოდენობაც, სულ გაგზავნილი იქნა 253,1 ათასი კაცი, მათ შორის მიღებულია 128,7 ათასი კაცი, გაგზავნილია 124,1 ათასი კაცი<sup>32</sup>.

1928 წელს ნავსადგურების საერთო შემოსავალი გაიზარდა 2317383 მანეთამდე. ამრიგად, საქართველოს ნავსადგურებმა, ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ამ დროისათვის, აღდგენილი იქნა სავაჭრო ფლოტი, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ნავსადგურების რეკონსტრუქციისათვის, გაფართოვდა გემთშენებელი სახელოსნოების მუშაობის პროფილი და მოცულობა. საზღვაო ფლოტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება უზრუნველყოფდა ტვირთისა და მგზავრების მიღებას და გაგზავნას როგორც საზღვარგარეთ, ისე სსრ კავშირის ნავსადგურებში.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტმა წარმატებით შეასრულა ის ამოცანები, რასაც მას, ამ დროისათვის, უსახავდა კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო.

<sup>31</sup> აჟარის ასსრ ცსა, ფონდი 60, ს. 24, ფურც. 2.

<sup>32</sup> საბჭოთა საქართველოს 13 წელი, თბ., 1934, გვ. 98, 99.

О. Х. ШАРАДЗЕ

МОРСКОЙ ТРАНСПОРТ ГРУЗИИ  
В ПЕРИОД ВОССТАНОВЛЕНИЯ НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА

Резюме

С помощью РСФСР и путем объединения хозяйственных ресурсов Закавказья ускорилось экономическое развитие Советской Грузии. Наряду с реорганизацией железнодорожного транспорта соответствующие меры были приняты для восстановления и развития морского транспорта, которому в тот период придавалось особое значение. 21 марта 1921 года было основано Управление морского транспорта Грузии, были объявлены государственной собственностью все черноморские порты, подсобные хозяйства и морской флот. С 1923 года значительно возрос вывоз груза на экспорт из портов Грузии. Увеличивается грузооборот и перевозка пассажиров. С начала 1925 года морской транспорт Грузии вошел в подчинение вновь созданного Азово-Черноморского управления, что способствовало упрочению материально-технической базы портов Грузии, но по основным экономическим показателям порты превзошли довоенный уровень сравнительно позже.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონო-  
მიკის გამოცდილების განყოფილებისა და ეკონომიკური აზრის ის-  
ტორიის განყოფილებამ

## ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ალმასანდრა ჟღანტი

### ბანწყობის ფსიქოლოგიური თეორიის კრიმინოლოგიაში გამოყენებისა და ზნეობრივი აღზრდის ზოგადი საკითხი

ადამიანი და გარემო განუწყვეტლივ ურთიერკავშირში იმყოფებიან. ეს კავშირურთიერთობა დიალექტიკური ხასიათისაა. არა მარტო გარემოსინამდვილე ზემოქმედებს მოთხოვნილების კონკრეტული სიტუაციის სახით სუბიექტზე (პიროვნებაზე), არამედ, პირიქით, სუბიექტიც (პიროვნებაც) ახდენს ზემოქმედებას გარემოზე. ადამიანი სათანადოდ ცვლის გარემოს, იგუებს მას და ამ პროცესში თვითონაც მიზანდასახულად იცვლება, ეგუება სინამდვილეს. „აქტივობის პროცესში ადამიანს, როგორც პიროვნებას, უყალიბდება გარკვეული პიროვნული ნიშნები, უჩნდება ფსიქიკური მდგომარეობანი და პროცესები“<sup>1</sup>.

ადამიანის აქტივობას, მის ქცევას, კონკრეტულ ქმედობას განაპირობებს ამა თუ იმ ხასიათის მოთხოვნილება, რომლის რეალიზაციაც დამოკიდებულია ფსიქოლოგიურ განწყობაზე. სწორედ განწყობა აძლევს მიმართულებას ქცევას, იგია ყოველგვარი ქცევის (მათ შორის დანაშაულებრივი ქცევის) მარეგულირებელი და წარმმართველი. ცხადია, დანაშაულებრივი ქცევის საკითხი ფსიქოლოგიას უშუალოდ არ აინტერესებს, ეს უფრო იურისტ-კრიმინოლოგთა საქმეა, მათი კვლევა-ძიების სფეროა. კრიმინოლოგებს, ასევე, უფრო მეტად აინტერესებთ პიროვნება როგორც სოციალური მოვლენა, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიული განვითარების პროდუქტი.

ადამიანის სოციალურობა უწინარეს ყოვლისა მოთხოვნილებებსა და გარემოსამყაროსთან ურთიერთობაში პოულობს თავის გამოხატულებას. ეს ურთიერთობა კი თავისი არსით სოციალური (საზოგადოებრივი) ურთიერთობაა. ადამიანი, როგორც ინდივიდი უამრავი სულიერი და მატერიალური ხასიათის მოთხოვნილებათა მატარებელია. ეს მოთხოვნილებანი და მათი დაკმაყოფილების გზები შეიძლება იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო, მისაღები ანდა კიდევ, პირიქით — მიუღებელი და მავნე, საზიანო რაც მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია მოცემულ საზოგადოებაში მოქმედ ეთიკურ-სამართლებრივ ნორმებსა და შეხედულებებზედაც. ამასთანავე, „ადამიანები განსხვავდებიან არა მხოლოდ იმით, თუ რა სახის მოთხოვნილებები პრევილირებს მათ ცხოვრებაში (მაგალითად, მორალური, ინტელექტუალური, ესთეტიკური), არამედ იმითაც, რამდენად ინტენსიურად და, კერძოდ, რამდენად ემოციურად განიცდებიან ეს მოთხოვნილებანი“<sup>2</sup>.

საზოგადოება სოციალიზმის დროს დაინტერესებულია, რომ ადამიანის პირადი მოთხოვნილებები ერწყმოდეს საზოგადოებრივს და პირიქით. ეს ხელს უწყობს პიროვნების ზნეობრივ სრულყოფას, საზოგადოების პროგრესს, მათი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას.

1 შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 415.

2 რ. ნათაძე, ნებისყოფის ფაქტორი ბრძოლის ველზე, თბ., 1942, გვ. 482.



მთავარი ამოცანა პიროვნების მორალურ-ზნეობრივი ჩამოყალიბების გზაზე, რაც ასახვას პოულობს მის განწყობასა და ქცევაში, არის მოთხოვნილება ალზრდა და დაკმაყოფილება, სოციალურად მისაღები, გამართლებული საშუალებებით. მიღწევა იმისა, რომ საზოგადოების თითოეული წევრი ნებაყოფლობით ემორჩილებოდეს სამართლებრივ და სოციალურ კონტროლს.

დ. უზნაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ობიექტივაცია, აზროვნება სწორედ იმიტომ იქმნებიან ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრების პერიოდში, რომ ისინი ანიჭებენ ადამიანს შესაძლებლობას ობიექტურად სწორად გადაჭრას ამოცანა და შეუცდომლად მოახერხოს გარემო სინამდვილის მოთხოვნილებებთან შეგუება<sup>3</sup>.

ობიექტივაციის დონეზე თუ როგორი ქცევის განწყობა ჩამოყალიბდება პიროვნებას, ეს უშუალოდ არის დაკავშირებული მოთხოვნილებებთან და მისი დაკმაყოფილების გზებთან, ზნეობრივ აღზრდასთან, ცოდნასთან, გამოცდილებასთან, შეხედულებებთან, იმ მიკრო და მაკრო გარემოსთან, რომელშიც უხდება ცხოვრება მას. სწორედ ამისდა მიხედვით და **გამოვლინებული ქცევის** შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ დანაშაულებრივი, ანტისაზოგადოებრივი ან საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევის განწყობის არსებობის ან არარსებობის შესახებ.

იმპულსური (პირველადი) განწყობისაგან განსხვავებით განწყობა პიროვნების დონეზე (ობიექტივაციის დონეზე) განსაზღვრავს ნებისმიერ მოქმედებას, ე. ი. ისეთ მოქმედებას, რომელსაც საფუძვლად უდევს მოტივირებული, ცნობიერებაში გადამუშავებული, იდეურად გააზრებული ცოდნა. უკეთეს პირის აღზრდა და ჩამოყალიბება ხდებოდა მისთვის არახელსაყრელ, საზოგადოებრივად ძილებულ და გაუმართლებელ ვითარებაში, მაშინ, მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის კონკრეტულ სიტუაციაში, შეიძლება ადვილად ჩამოყალიბდეს ანტისაზოგადოებრივი ქცევის (ქმედობის) განწყობა, რაც მასში ასახულ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, დანაშაულებრივი ქცევის განმსაზღვრელად მოგვევლინოს.

დანაშაულს იწვევს არა ერთი რომელიმე ფაქტორი, არამედ ფაქტორთა და გარემოებათა ერთობლიობა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოქმედებენ ადამიანზე.

ცალკეულ დანაშაულსა და დამანაშავეობას, როგორც სოციალურ მოვლენებს შორის ისეთივე თანაფარდობა არსებობს, როგორც კონკრეტულსა და ზოგადს შორის საერთოდ.

მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის წარმოშობილ წინააღმდეგობათა გამო, კონკრეტულ სიტუაციაში განხორციელებული დანაშაულებრივი ქცევა, გამომდინარეობს, ობიექტივაციის დონეზე, სუბიექტის განწყობის მეშვეობით, აზროვნების საგნად ქცეული (მოტივაცია), იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების (პირობების) ურთიერთშემოქმედებით (შეჯახებით) ჩამოყალიბებულ მიზეზიდან, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ასეთი შდეგის დადგომა.

ამ პროცესის გაანალიზება (დამანაშავე პირის შესწავლასთან ერთად) საშუალებას იძლევა, ავხსნათ კონკრეტული დანაშაულის არსი, მისი მიზეზები და ნელისშემწყობი პირობები.

<sup>3</sup> Д. Н. Узнaдзe. Экспериментальные основы психологии установки, Тб., 1961, с. 198.

ამასთან, ისინი, საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების რთულ ურთიერთობაში აისახებიან, რისი განზოგადებაც, საბოლოო ჯამში, ნათელს ფენს დამნაშავეობის საერთო მიზეზებს.

ადამიანის (სოციალურ დონეზე) განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში გამოყენება, დანაშაულის (დამნაშავეობის) მიზეზების ახსნისა და მის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის შესანიშნავ პერსპექტივებს შლის მეცნიერებისა და პრაქტიკის წინაშე.

განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის დებულებებიდან გამომდინარე, ყოველი ცოცხალი არსება, მათ შორის ადამიანიც, ხასიათდება ორი ძირითადი თავისებურებით, მოთხოვნილებითა და მიზანშეწონილი ქცევით. მოთხოვნილება შეიძლება იყოს როგორც ვიტალური (მატერიალური) ხასიათის, ისე სულიერი (ეთიკური, მორალური, ზნეობრივი, მხატვრული და ა. შ.). მიზანშეწონილი ქცევა, ყოველთვის რაღაც გარკვეული კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. მოთხოვნილება პირველდება, ქცევა ყოველთვის მოთხოვნილებითაა პირობადებული. იგი მოთხოვნილების პროდუქტია, მაგრამ მოთხოვნილება, რომელიც თვითონ შეიცავს აქტივობის ტენდენციას, თავისთავად ვერ დაკმაყოფილდება. ამისათვის საჭიროა არსებობდეს განსაზღვრული გარემო (ბუნებრივი, სოციალური, ოჯახური და ა. შ.), რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. გარემოსთან კავშირის დასამყარებლად სუბიექტი მიმართავს გარკვეულ აქტს. გარესინამდვილე მასზე მოქმედებს, როგორც მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სიტუაცია, ამასთან, მასზე მოქმედებს არა მთლიანად გარესინამდვილე, არამედ „მხოლოდ ის, რაც ყოველ მოცემულ მომენტში აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციას წარმოადგენს“ (დ. უზნაძე). გარესინამდვილე, გარემო, მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია, სუბიექტში აისახება მოქმედების პლანში, როგორც მისი დინამიკური მდგომარეობა, რომელშიც წინასწარაა გათვალისწინებული როდის, სად და რა უნდა გააკეთოს სუბიექტმა არსებულ სიტუაციაში, რათა დაიკმაყოფილოს ესა თუ ის მოთხოვნილება. მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი (აუცილებლობა) სუბიექტს სამოქმედოდ განწყობს, ე. ი. აღუძრავს მიდრეკილებას. **მოთხოვნილებითა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციით განპირობებული გარე-სინამდვილის ასახვის ეს სპეციფიკური ფორმა, სუბიექტის ეს დინამიკური მდგომარეობა სხვა არაფერია, თუ არა განწყობა.** განწყობა ისეთი სპეციფიკური მდგომარეობაა, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება და „... ცნობიერებაში მოცემულობის გარეშე მოქმედებს...“<sup>4</sup>. სიტუაცია მოქმედებს მთლიანად სუბიექტზე და არა მის ცალკეულ ორგანოებზე. ამიტომ არის, რომ სუბიექტი ყოველთვის მოთხოვნილების სიტუაციის შესაბამისად იცვლება. ამასთან, ასეთი შეცვლა ხდება მანამდე, ვიდრე მოქმედება დაიწყებოდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის, თუ როგორ იმოქმედებს მოცემულ სიტუაციაში სუბიექტი, ეს განსაზღვრული სახით მანამდეა გარკვეული, ვიდრე მოქმედება დაიწყებოდეს. მოქმედება განხორციელებამდე წინასწარი მიდრეკილების, გარკვეული აქტივობის ტენდენციის სახით არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოქმედების დაწყებამდე სუბიექტს უკვე აქვს იგი მოცემული განწყობის სახით. ქცევის ყოველი აქტი განწყობის თავისებურებითაა განსაზღვრული. იგი ქცევის (მოქმე-

4დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 71.

დების) უშუალო წარმმართველია, მასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად. სწორედ მოთხოვნილება აძლევს ქცევის სუბიექტს შესატყვის სიტუაციაში ისეთ მოდიფიკაციას განწყობის სახით, რომ მან მხოლოდ მიზანშეწონილი ქცევა განახორციელოს (რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და არა სოციალურად).

კრიმინოლოგიის ამოცანაა შეისწავლოს დანაშაულებრივი ქცევის განწყობის ფორმირებისა და მისი მოქმედების კანონზომიერებანი. მართალია, ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, მაგრამ ადამიანი, ცხოველისაგან განსხვავებით ისტორიული არსებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მოთხოვნილებანი განპირობებულია სოციალური ურთიერთობებით, მათი განვითარებით. ეს მოთხოვნილებები განუწყვეტლივ იცვლებიან, ჩნდება სულ ახალი და ახალი მოთხოვნილებები. მათი წარმოშობა უფრო ისტორიულ განვითარებაზე დამოკიდებული, ვიდრე ბიოლოგიურზე. მოთხოვნილება ყოველთვის გულისხმობს მოხმარებას, სულერთია იქნება იგი მატერიალური თუ სულიერი სახის. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზაზე ადამიანს უჩნდება ინტერესი, მიდრეკილება, სურვილი, გრძნობა, წარმოდგენები, ლტოლვა და ა. შ. ყველა ეს ფსიქიკური კატეგორია მეორადი მოვლენაა, ამიტომ არ შეიძლება მათი მიჩნევა ადამიანის აქტივობის განმსაზღვრელად. მიდრეკილება, ინტერესი, ლტოლვა, და ა. შ. უკვე ნიშნავს ადამიანში შესატყვის მოთხოვნილების არსებობას. ადამიანური მოთხოვნილებების სპეციფიკა იმაშია, რომ ისინი წარმოიშობიან და ვითარდებიან სოციალური ცხოვრების პროცესში. ასეთია, მაგალითად, თეორიული, ესთეტიკური და ეთიკური მოთხოვნილებანი. სწორედ ეს მოთხოვნილებები (განსაკუთრებით ეთიკური) ახდენენ შესატყვის სიტუაციაში ისეთი ქცევის (მოქმედების) განწყობის ფორმირებას, რომელსაც მაღალი საზოგადოებრივი ღირებულება აქვს. ადამიანის მოთხოვნილებებში ერთმანეთშია გადახლართული ბიოლოგიური და სოციალური ნიშნები. ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებანი ეწინააღმდეგება ეთიკურს და პირიქით. ეთიკური (მორალური) მოთხოვნილებების მნიშვნელობა აქ იმაშია, რომ იგი განწყობას, რომელიც შეიძლება დანაშაულებრივ ქცევაში გამოიხატოს, არ აძლევს ასეთ პრაქტიკულ მოქმედებაში გადასვლის შესაძლებლობას. მოთხოვნილების როგორც წარმოშობის ისე მისი დაკმაყოფილების შინაარსიც განუწყვეტლივ იცვლება. ადამიანში იგი წარმოიშობა, როგორც უშუალო ფიზიკური ისე სოციალური გარემოს ზემოქმედებით და ცნობიერ ხასიათს ატარებს. ეს ხდება ობიექტივაციის გზით, რაც დაკავშირებულია ქცევის დაწყებამდე ან ქცევის პროცესში წარმოშობილ გარეგან ან შინაგან წინააღმდეგობებთან და დაბრკოლებებთან. თუ ქცევა (მოქმედება) ამ დროს ანტისაზოგადოებრივია, მას შეიძლება წინ აღუდგეს მორალური მოთხოვნილება, რომელსაც ჩვეულებრივ სოციალური ხასიათი აქვს. ობიექტივაციის პროცესში, რასაც საფუძვლად განწყობა უდევს, ადამიანი შემეცნების სუბიექტი ხდება, იგი აცნობიერებს დაბრკოლების მიზეზებს, მათ ბუნებას და აზროვნების საშუალებით, მოტივაციით არკვევს, თუ რა გზით უნდა წარმართოს მან ქცევის (მოქმედების) მომდევნო აქტები. პირველადი განწყობა და ობიექტივაცია ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული დონეა. უკანასკნელი დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის, იგი აზროვნების კატეგორიებით განისაზღვრება და არა აღქმებით (ეს უკანასკნელი

იმპულსური ქცევისათვისაა დამახასიათებელი). ცნობიერების ფენომენიდან, პირდაპირ (სუბიექტის სათანადო მობილიზების გარეშე) ქცევის აქტზე გადასვლა შეუძლებელია, განწყობა (არაცნობიერი) კი, პირის მთლიანი მდგომარეობა მისი მოდუსია, სწორედ ისეთი ფენომენია, რომელიც აწარმოებს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ქცევის აქტებს. ქცევის წინასწარი დაგეგმვა, სიტუაციის გაცნობიერება, ქცევის მიზნისა და საშუალებების გააზრება და ა. შ. არის არა თვითონ ცნობიერი განწყობა, (როგორც ზოგიერთს მიაჩნია), არამედ განწყობის მიერ ნაწარმოები მოვლენები. აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა ობიექტივაციის დონეზე წარმოებული ფსიქიკური აქტივობა. პირველადი განწყობის დონეზე აზროვნება გამოირიცხულია. ობიექტივაციის დონეზე საქმე გვაქვს ისეთ განწყობასთან, რომელიც წარმოშობილია მეორადი, წარმოებული მოთხოვნილებებისა და სიტუაციის ნიადაგზე. ეს განწყობა, რომელიც ობიექტივაციის დონეზე არსებობს თეორიულად, ისეთ რეალურ ძალად რომ იქცეს, რომელიც პრაქტიკულად სუბიექტის ქცევას (მოქმედებას) წარმართავს, აუცილებელია ნებელობის აქტი. ამდენად, „ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენები ქმნიან ერთ მთლიან სტრუქტურას, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ სულიერ ცხოვრებას ედება საფუძველად“<sup>5</sup>.

ყოველივე ამის ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის მიზეზებისა და ხელის შეწყობი პირობების შესწავლისა და დადგენის საქმეში. თუ როგორი მოთხოვნილება დაედება საფუძველად ადამიანის მოქმედებას, როგორია ის გარემო-სიტუაცია, რომელშიც უნდა მოხდეს ამ მოთხოვნილების რეალიზაცია, ობიექტივაციის შედეგად თუ როგორ აქტივობას განახორციელებს სუბიექტი, სხვა გარემოებებთან ერთად, ეს ბევრად არის დამოკიდებული მის აღზრდასა და ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე.

შეიძლება გარემო-ვითარება მორალისა და სამართლის თავლასაზრისით სრულიადაც არ იყოს უარყოფითად შეფასებული, მაგრამ პირს მაინც ჩამოეყალიბდეს დანაშაულებრივი ქცევის განწყობა, თუ იგი დაავადებულია კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით, მიჩვეულია მუქთახორობას, იოლი გზით თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაც საზოგადოებრივი აზრით მიუღებელია, დასავგობია და ა. შ. მაგალითად, თავისთავად შაქრის ან მოღური ტანსაცმლის სწორად და დროულად განაწილება, სავაჭრო დაწესებულებებში საჭირო და აუცილებელი რამაა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ზოგიერთ პირს, თუ არ არსებობს საზოგადოებრიობის ან სათანადო ორგანოთა მხრივ სათანადო კონტროლი, აღნიშნული საქონელი შეიძინოს დიდი ოდენობით და გამოიყენოს დანაშაულებრივი მიზნებისათვის (სპეკულაცია, ფალსიფიკაცია და ა. შ.), ასევე, პირს შეიძლება ჰქონდეს სურვილი დანაშაულებრივი გზით დაიკმაყოფილოს თავისი ესა თუ ის მოთხოვნილება, მაგრამ გარემო-სიტუაცია მის ირგვლივ ისეთია, რომ ეს სურვილი მას განუხორციელებელი, ხოლო მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება. ე. ი. იმისათვის, რომ პირმა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები ისეთი ქმედობით, რაც საზოგადოებრივად საშიშადაა მიჩნეული. აუცილებელია არსებობდეს აგრეთვე შესატყვისი სიტუაცია. ხშირად, დანაშაულის ჩადენა, როგორიცაა სპეკულაცია, მყიდველთა (დამკვეთთა) მოტყუება, ფალსიფიკაცია, უხარისხო საქონლის გასაყიდად გამოშვება და სხვ. კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის არსებობითაა განპირობებული. სწორედ

ასეთი შეხედულებანი, შესატყვის სიტუაციაში, განწყობს ადამიანს ჩაიდინოს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ცხადია, კერძომესაკუთრული ტენდენციების მქონე ყველა პირი როდი სჩადის დანაშაულს. აქ დიდ როლს თამაშობს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორების ურთიერზემოქმედება, რაც მას შესაძლებლობას აძლევს ობიექტივაციის დონეზე ისეთი ქცევა განახორციელოს, რომელიც გამორიცხავს საზოგადოებრივ საშიშროებას.

თავისთავად, პირის შინაგანი ბუნება, ანტისაზოგადოებრივი შეხედულებები, ჩვევები, გარემო-ვითარება, სიტუაცია და ა. შ. არ შეიძლება მივიჩნიოთ დანაშაულის უშალო მიზეზად. ისინი ხელისშემწყობი პირობების როლში გვევლინებიან. როგორც აღვნიშნეთ, გარეგანი ფაქტორები ანუ ობიექტური პირობები, მხოლოდ შინაგან სუბიექტურ პირობებთან ურთიერზემოქმედებაში, ობიექტივაციის დონეზე, განაპირობებენ პირის მართლსაწინააღმდეგო ქცევის მიზეზს.

დანაშაულს ანუ საზოგადოებრივ საშიშ ქმედობას, როგორც წესი, თან ახლავს სუბიექტის შეგნებული გადაწყვეტილება (ნებელობითი აქტი) და მოქმედების არჩევითობა; იგი არ არის გაუაზრებლად მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. ვიდრე ასეთს ჩაიდენდეს დამნაშავე ანალიზებს თავის კონკრეტულ ქმედობას. აქ კი დამამწყვეტი როლი ეკისრება მოცემული პირის წარსულს, მის ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესს, საერთოდ მის აღზრდას, გარემოს, სადაც იგი ცხოვრობს და საქმიანობს და ა. შ. თუ პირი ზნეობრივად და მორალურად კარგად არის აღზრდილი, მის ირგვლივ გარემო-ვითარებაც ისეთია, რომ მას არ აღუძრავს სურვილს დაიკმაყოფილოს თავის ესა თუ ის მოთხოვნილება ქცევის ისეთი ფორმების განხორციელებით, რაც ოფიციალურად დაგმობილია მოქმედი მორალური, ეთიკური და სამართლებრივი ნორმებით, საზოგადოებრივი აზრით, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პირი ნამდვილად არ ჩაიდენს დანაშაულს; ასეთ პირს ყოველთვის შესწევს უნარი მიმართოს ისეთ ობიექტივაციას, მოტივაციას, რაც მას შესაძლებლობას მისცემს სწორად აღიქვას და გააცნობიეროს მის ირგვლივ არსებული ვითარება (სიტუაცია), არ მიმართოს საზოგადოებრივად დასაგმობ და საშიშ ქმედობას. რა თქმა უნდა, შეიძლება პირს შეგნებულიც ჰქონდეს მის მიერ ჩადენილი ან განხრახული ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან ის, რომ ასეთი მოქმედება შეუთავსებელია ჩვენს სოციალისტურ ყოფასთან, რომ, მაგალითად, ანგარება, გამორჩენა, უკანონო გზით გამდიდრება და სხვა ეს არის დანაშაული, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის კანონით, მაგრამ მან მაინც თავი ვერ შეიკავოს და ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედობა.

აქ საფუძველი ისევ და ისევ ამ პირის განწყობაში (რა თქმა უნდა ობიექტივაციის დონეზე), ე. ი. იმ ფაქტში უნდა ვეძიოთ სხვა გარემოებებთან ერთად, რომელშიც მოხდა მისი აღზრდა და ჩამოყალიბება. აქ აუცილებლად პასუხი უნდა გავცეს კითხვას, თუ რატომ წარმოიშვა მას სწორედ ასეთი და არა სხვანაირი მოთხოვნილება და რატომ მიმართა მან მისი დაკმაყოფილებისათვის სწორედ ამგვარ დანაშაულებრივ და არა საზოგადოებრივად გამართლებულ, სოციალურად მისაღებ გზასა და საშუალებებს. აქ კი განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის მნიშვნელობა მართლაც რომ ფასდაუდებელია.

ჩვენ სიტყვას აღარ გავავრძელებთ იმაზე, რომ დანაშაული ეს არ არის პირის თანდაყოლილი თვისება, რომ დამნაშავეებად არ იბადებიან, ბიოლოგი-

